# გილოცავთ დამდეგ 2008 წელს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 256-257 (5858)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



გუშინ რუსთაველის პროსპექტზე

ჯემალ კასრაძის ფოტო.



2008 წელი თაგვის წელიწადია 23


იმედიანი „უიმედობა“ 2

ვფიქრობთ, რომ ეგზიტპოლი მიკერძოებულად, ხელისუფლების დაკვეთის შესაბამისად ჩატარდება 3

ოპოზიცია სააკაშვილის სინდისს ეძებს 9


**დღის ანეკდოტი**

მატყუარა ბავშვს ტყუილების თქმას პატარაობიდანვე თუ არ გადავაჩვევთ, უთუოდ პოლიტიკოსი გამოვა.

# დღევანდელობა

● დანამდვილებით ვიცი, რომ ბადრი პატარკაციშვილს „ერთიანი სახალხო მოძრაობისთვის“ ერთი თეთრიც არ მიუცია (შეიძლება ამ მოძრაობის რომელიმე წევრს რაღაც პატივი სცა, მაგრამ — არა მოძრაობას. პრინციპში, მეც მჩუქნიან ხოლმე ჩემი მეგობრები რაღაც თანხებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებს აფინანსებენძ.



**◉ გილოცავთ ახალ წელს!**

## იმედიანი „უიმედობა“

**ტელეკომპანია „იმედმა“ კიდევ ერთხელ შეწყვიტა მაუწყებლობა, მაგრამ ამჯერად, ასე ვთქვათ, შიდა პრობლემების გამო. ეს პრობლემები კი გამოიწვია ბოლო დღეებში გათამაშებულმა სპექტაკლმა, რომლის სცენარისტებად, რეჟისორებად, მთავარი როლის შემსრულებლებად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოპერატორებადაც კი პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი კოდუა მოგვევლინენ.**

ამ სპექტაკლში „მეორეხარისხოვანი“ როლები პარლამენტის წევრ ვალერი გელბახიანსა და მოსამართლე მარინა გაბუნიასაც ერგოთ, ხოლო ე.წ. „მასოვკის“ როლი ჯერ ტელეკომპანიას, ხოლო შემდეგ საქართველოს მოსახლეობას უნდა შეესრულებინა. სპექტაკლის ერთ-ერთ სცენარისტს (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითძ დიდი იმედი ჰქონდა, რომ ქართველი ხალხი ბოლო 18 წლის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა „მასოვკის“ როლს სხვადასხვა „ხელოვანის“ ხელში და რაღა ახლა გაუწყრებოდა ღმერთი.

ვერ მივცემ იურიდიულ შეფასებას იმ ჩანაწერებს, რომლებიც მთელი ორი დღის განმავლობაში ტრიალებდა ჩვენს ტელეეკრანებზე, მაგრამ ის, რომ მათ ჩვენებას გარკვეული დატვირთვა ჰქონდა, ანუ დარტყმა უნდა მიეყენებინა ოპოზიციისათვის, უდავო ჭეშმარიტებაა.

ამ დარტყმას ორი მიმართულება ჰქონდა: დისკრედიტაცია მოეხდინა „ერთიანი სახალხო მოძრაობისა“ და მისი კანდიდატისთვის (რომელსაც ტელეკომპანია „მზის“ ეთერში გამუდმებით რატომღაც პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ კანდიდატად მოიხსენიებენძ; გაეძლიერებინა ნიჰილისტური დამოკიდებულება არჩევნების მიმართ და შეემცირებინა არჩევნებზე მიმსვლელთა რაოდენობა.

დანამდვილებით ვიცი, რომ ბადრი პატარკაციშვილს „ერთიანი სახალხო მოძრაობისთვის“ ერთი თეთრიც არ მიუცია (შეიძლება ამ მოძრაობის რომელიმე წევრს რაღაც პატივი სცა, მაგრამ — არა მოძრაობას. პრინციპში, მეც მჩუქნიან ხოლმე ჩემი მეგობრები რაღაც თანხებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებს აფინანსებენძ.

ეს ფაქტი ხელისუფლებისთვისაც კარგად იყო ცნობილი, თორემ ნამდვილად მოახერხებდნენ რაიმე „მაკომპრომეტირებელი“ კადრების გადაღებას და შემდგომში მის ჩვენებას. სწორედ იმის გამო, რომ მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ, ხალხის თვალში ოპოზიციის კომპრომეტაცია ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტების ხელით სცადეს.

27 დეკემბერს ლევან გაჩეჩილაძემ ბრიფინგზე გარკვევით განაცხადა, რომ „ერთიან სახალხო მოძრაობას“ არაფერი საერთო არა აქვს პატარკაციშვილის გეგმებთან.

ზემოთ ხსენებული ტელეკომპანიების თანამშრომლები კი ჟურნალისტური „პროფესიონალიზმით“ შეეცადნენ ისეთი „ჩამჭრელი“ კითხვების დასმას, რომლებიც ყოველგვარ „უკან დასახევ გზას მოუჭრიდა“ რესპონდენტებს. ამ კითხვებს მხოლოდ მაგიდაზე მიკროფონის დარტყმა და ყვირილით ნათქვამი „დროზე თქვი, ბიჭო!“ აკლდა, თორემ ბრიფინგზე კი არა, დასაკითხ საკანში ეგონებოდა თავი კაცსძ.

ჟურნალისტები ბრიფინგზე ცოტათი „შეაფუცხუნეს“.

„დაჩაგრული“ ჟურნალისტების გამოსასარჩლებლად მაშინვე დაირაზმა ე.წ. „მედია-საბჭო“, რომლის ფუნქციაც მათი ამდენი ხნის არსებობის მანძილზე მაინც ვერ გავიგე. ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მედია-საბჭოს წევრებს ვთხოვ, ნუ მიიღებენ რომელიმე უნიჭო მხატვრის ახლობლების მსგავს სახეებს, როდესაც ერთ-ერთი დამთვალიერებელი ნახატს სახელწოდებით „გაზაფხული“ შვიდ ნოემბერს რუსთაველზე გაშვებული გაზის კვამლად აღიქვამს (არადა მათაც კვამლი ეგონათ, სანამ ნახატის სახელწოდებას წაიკითხავდნენძ.

ასევე, ვერ გავიგე რას აკეთებს ამ საბჭოში ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიგი თევზაძე. ნუთუ ორი უნივერსიტეტისა და ერთი აკადემიის გაერთიანების ხელმძღვანელს მეტი საქმე არა აქვს, რომ ჟურნალისტთა რაღაც საბჭოშიც აქტიურად იმუშაოს, ანუ მკაცრი სახითა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით აფრქვიოს ქართული ჟურნალისტიკის ცივილიზებულ „ჩარჩოებში“ მოქცევის ის კონცეფციები, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ჯერჯერობით ვერ დანერგა. სჯობდა იმ აუდიტორიებისთვის მიეხედა, რომლებიც რუსული „ობშჩეჟიტიების“ საერთო საპირფარეშოებს უფრო ჰგავს, ვიდრე ლექციების ჩასატარებელ ადგილს.

მოკლედ რომ ვთქვა, დისკრედიტაციის მანქანა ამუშავდა, მაგრამ ვერ გაამართლა. ის, რომ ჟურნალისტებმა ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, იმითაც ჩანს, რომ „კურიერში“ ამ სიუჟეტის ჩვენების ბოლოს ისიც კი ითქვა, ლევან გაჩეჩილაძე თავისუფალი სიტყვის შეზღუდვით დაგვემუქრაო.

რა ვიცი, ალბათ ცოტათი რთულია და ნამდვილად დიდ ჟურნალისტურ „პროფესიონალიზმს“ საჭიროებს ის, რომ თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის მცდელობა იმ კაცს დააბრალო, რომელიც ამბობს, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში პრეზიდენტის ინსტიტუტს გავაუქმებო.

მიუხედავად ამ „ბრალდებისა“, მაინც ვერ „გაქაჩეს“ „ბრალმდებელმა“ ჟურნალისტებმა. ეგ კი არა და, მე მგონი, პირიქით, ლევან გაჩეჩილაძის წისქვილს მიუშვეს წყალი, რადგანაც ყველამ კარგად იცის „რუსთავი-2“-ისა და მისი „ვასალის“ — „მზის“ ამბავი.

სანამ ზემოთ ხსენებული პრობლემის — ოპოზიციაზე მიყენებული დარტყმის მეორე პუნქტზე გადავალ, ისევ მინდა ე.წ. მედია-საბჭოს მივმართო მისთვის ყველაზე უფრო „საჭირბოროტო“ საკითხის შესახებ: მედია-რეგულაცია არ არის დამოკიდებული მედია-საშუალების მფლობელის ინტერესების შეზღუდვაზე. მედია-რეგულაცია იქნება მაშინ, როდესაც გასულ სიუჟეტს რეაგირება მოჰყვება, ანუ დაისჯება ის მოსამართლე, რომელიც 200-ლარიანი მოპარული მობილური ტელეფონის შეძენისთვის ბრალდებულს გირაოს სახით 170 000 ლარს სთხოვს, ხოლო მობილური კავშირის კომპანიის 10000000-ად ღირებული აქციების „მოპარვაში“ ბრალდებულს — 10 000 ლარს. მედია-რეგულაცია იქნება მაშინ, როდესაც თოკ-შოუში განხილულ თემაზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილდება არა სტუმრების „ცნობადობაზე“, არამედ მათს პროფესიონალიზმზე (ანუ ქეთათო იმსჯელებს არა საპროტესტო აქციებზე, არამედ მუსიკაზე, ხოლო საპროტესტო აქციებზე — ვინმე პოლიტიკოსი იმსჯელებსძ.



რაც შეეხება იმ რაღაც ზოგად ფორმულებს ჟურნალისტური ეთიკის შესახებ: თუ ეს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები „ამუშავდა“, მაშინ რა ეშველება პულიტცერის პრემიაზე მეოცნებე იმ ჟურნალისტებს, რომლებიც უაზრო დაჟინებით ცდილობენ რესპონდენტისგან მიიღონ „სკანდალური“ ინფორმაცია? ისინი ხომ ერთ სიუჟეტსაც ვერ მოამზადებენ (მოკლედ დროს ატარებთ რა!ძ

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იმოქმედა ნაჩვენებმა ფარულმა ჩანაწერებმა არჩევნებზე მისასვლელი ხალხის აქტივობაზე.

იმ კადრების ჩვენებას კიდევ ერთი დატვირთვა ჰქონდა: უნდა შემცირებულიყო მოსახლეობის აქტივობა. გათვლა გაკეთებული იყო იმაზე, რომ ნებისმიერ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად იმსჯელებენ 5 იანვრის არჩევნებზე. ამ მსჯელობის დროს კი მოქეიფეები აუცილებლად გაიხსენებენ იმ ფრაზებს, სადაც საქართველოს მოქალაქეების „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენებაზე იყო საუბარი. აქედან გამომდინარე, წესით ოპოზიციონერ ამომრჩეველს უნდა გაუჩნდეს პროტესტის გრძნობა და თუ რადიკალურად არ შეცვალა თავისი არჩევანი, უკეთეს შემთხვევაში საერთოდ არ მივა საარჩევნო ყუთთან. რაც შეეხება ხელისუფლების მხარდამჭერ ამომრჩეველს, ასეთ დროს ის გაცილებით უფრო მობილიზებულია. ამიტომ პროცენტების საკმაო რაოდენობა ხელისუფლების მხარეს „გადაიქაჩება“, მაგრამ დასავლური გამოცდილების კალკირება (ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაშიძ აქ არ ამართლებს.

არ ვიცი, რა შედეგები აქვს ცესკოს თავმჯდომარის „ნდობით“ ალჭურვილ სოციოლოგიური გამოკითხვების ჩამტარებელ ორგანიზაციას არჩევნებზე წამსვლელი ხალხის რაოდენობის შესახებ. სამაგიეროდ ვიცი, თუ რას ფიქრობს ხალხი ავტობუსებში, „მარშრუტკებში“, მაღაზიებში, ანუ ისეთ ადგილებში, რომლებიც გრანტით ნაყიდი კომპიუტერების ეკრანებზე არ ჩანს.

ყველასდა გასაოცრად, ხალხი უფრო განეწყო არჩევნებზე წასასვლელად და თქვენ წარმოიდგინეთ უფრო ოპოზიციურადაც.

ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ბოლო „კოზირზეც“, რომელიც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა გაახმიანა.

მან განაცხადა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში ხელისუფლების რიგებში სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს და თანამდებობებზე ისეთ წესიერ ხალხს მოიყვანს, როგორიც კოზა სუბელიანია (სუბელიანი რომ მართლაც წესიერი კაცია, ამას მტკიცება არ სჭირდებაძ.

სააკაშვილის გათვლებით, ხალხმა ამ განცხადების შემდეგ უნდა ჩათვალოს, რომ სააკაშვილმა „არ იცოდა“ ბენდუქიძეების, ლომაიების, ბოკერიების და „ძმათა მათთა საგმირო საქმეების შესახებ“ და მხოლოდ სარეკლამო რგოლებში ნაჩვენები „ცრემლიანი შეხვედრების“ შემდეგ გაიგო სიმართლე. გაიგო და ყველაფერს იზამს მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომელიღაც ქვეყანაში შეიძლება ეს მეთოდი ამართლებდეს, მაგრამ არა საქართველოში.

ერთი იგავი გამახსენდა: თხამ რომ გაიგო მგელი მომკვდარაო, სიხარულით მეცხრე ცას ეწია და მაშინვე ტყეში გაკუნტრუშება დააპირა, მაგრამ ძაღლმა უთხრა: ტყუილად გიხარია, იმ მგელს შვილები ხომ დარჩაო, თანაც უფრო მშივრები და ახალგაზრდები, ამიტომ ახლა უფრო ფრთხილად იყავიო.

დაბოლოს: რაც შეეხება საქართველოსთვის დასაწერ ხუთიანს, ვინც არ იცის, მინდა ვუთხრა, რომ ქართული განათლების სისტემის „რეფორმის“ შემდეგ ხუთიანი საკმაოდ ცუდ ნიშნად ითვლება. ამიტომ ნუ დავუწერთ საქართველოს ცუდ ნიშანს. ნუ დავუწერთ, რადგან ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაში და მათ ნამდვილად პირველობა ეკუთვნით.

წინასწარ გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ შობას ისეთ ქვეყანაში შეხვედროდეთ, სადაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ხალხს სურს.

**გია გაბრიჭიძე**

**◉ რეიტინგი**

### ამჯერადაც პირველ ადგილზე...

**ტელეკომპანია „იმედის“ მოწვევით, ევროპულმა ფონდმა „დიალოგი დემოკრატიის განვითარებისათვის“ საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო რეიტინგი გამოავლინა. საქართველოს 75 დასახლებულ პუნქტში 2 ათასი რესპონდენტი გამოიკითხა.**

საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგების თაობაზე ფონდმა „ქორთიარდ მარიოტში“ პრესკონფერენცია გამართა. ადგილები ასე განაწილდა:

**ლევან გაჩეჩილაძე — 29,9 პროცენტი;**

**ბადრი პატარკაციშვილი — 19,5 პროცენტი;**

**მიხეილ სააკაშვილი — 19,1 პროცენტი;**

**შალვა ნათელაშვილი — 5,0 პროცენტი;**

**დავით გამყრელიძე — 3,9 პროცენტი;**

**გია მაისაშვილი — 1,1 პროცენტი;**

**ირინა სარიშვილი — 0,4 პროცენტი.**

არჩევნებზე წავა თუ არა, ჯერ არ გადაუწყვეტია ამომრჩეველთა 16,3 პროცენტს, ხოლო არჩევნებზე წასვლას არ აპირებს 4,8 პროცენტი.

**◉ ვითარება**

### პატარკაციშვილი 4 იანვრამდე ოფიციალურად არ გადადგება

**არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილის განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებიდან კანდიდატურის მოხსნის შესახებ ცესკოში 2008 წლის 4 იანვარს შევა.**

**ამის თაობაზე პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ჟვანიამ განაცხადა**

**ჟვანიას ინფორმაციით, იგი გუშინ დაბრუნდა თელ-ავივიდან და საპრეზიდენტო მარათონიდან კანდიდატურის მოხსნის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის განცხადება ჩამოიტანა. მისივე თქმით, აღნიშნული განცხადება ცესკოში 4 იანვარს იქნება წარდგენილი.**

**როგორც გიორგი ჟვანიამ განაცხადა, ბადრი პატარკაციშვილმა თავისი კანდიდატურა დემოკრატიული ოპოზიციის სასარგებლოდ მოხსნა, თუმცა რომელიმე კონკრეტული კანდიდატურა მას არ დაუსახელებია.**

**ამასთან, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი მუშაობას ჯერ კვლავ განაგრძობს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

# ადუღებული დრო

• პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი დაუფარავად იყენებს სახელისუფლებო და საბიუჯეტო რესურსებს, ფაქტობრივად, თავის აგიტატორებად აქცია მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ჩათვლით



⊙ მიმართვა

## ვეჭვობთ, რომ ეგზიტპოლი მიკერძოებულად, ხელისუფლების დაკვეთის შესაბამისად ჩატარდება

**დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისისადმი (ODIRI)**

საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს როგორც ჩვენი ქვეყნის მომავლის, ისე საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის. წინასაარჩევნო კამპანია დღემდე მიმდინარეობს კონსტიტუციური ნორმებისა და საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. თვით საარჩევნო კოდექსით არის ხელისუფლების სასარგებლოდ დარღვეული არჩევნებში მონაწილე სუბიექტების თანაბარუფლებიანობის უმთავრესი პრინციპი. საზოგადოებასა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს სამართლიანი სასამართლოს არარსებობის გამო ფაქტობრივად წართმეული აქვთ შესაძლებლობა, სამართლებრივი გზით დაძლიონ ეს პრობლემა.

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი დაუფარავად იყენებს სახელისუფლებო და საბიუჯეტო რესურსებს, ფაქტობრივად, თავის აგიტატორებად აქცია მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ჩათვლით. იგი მოსახლეობას ჰპირდება ყველაფერს, სამართლიანი მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის გარდა. პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მომხრეებზე განხორციელებული ზეწოლა, მათი საარჩევნო შტაბების დარბევა, მოქალაქეებისათვის პირადობის მოწმობების მასობრივი ჩამორთმევა, საარჩევნო სიებში მოულოდნელად გაჩენილი მილიონზე მეტი „ამომრჩეველი", ამომრჩეველთა სიებში მიცვალებულების, აგრეთვე საზღვარგარეთ დიდი ხნის წინ გასული მოქალაქეების სათანადო მითითების გარეშე შეყვანა და სხვა დარღვევები ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ მიხეილ სააკაშვილი ემზადება არჩევნების ტოტალური გაყალბებისათვის. ეს კი, სავარაუდოდ, გამოიწვევს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებასა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ამჟამად გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობის, — გარემოებაზე:

ამ დღეებში გამოცხადდა, რომ ოთხი სატელევიზიო კომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „რუსთავი 2", „მზე" და აჭარის ტელევიზია აფინანსებენ ეგზიტპოლს, რომელსაც ჩაატარებენ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გიგი თევზაძე, „კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი" (გია ნოდია), „სტრატეგიული კვლევების ფონდი" (თემურ მექვაბიშვილი) და „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" (ლევან ცუცქირიძე). საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ზემოაღნიშნული ტელეკომპანიები და ეგზიტპოლის ჩამტარებელი პირები გამოირჩევიან ტენდენციური დამოკიდებულებით სახელისუფლებო პოლიტიკისადმი და, ფაქტობრივად, აქტიურად ეწევიან, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ხოლო მეორე მხრივ, ასეთივე აქტიურობით ეწევიან პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ დისკრედიტაციას (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამის ნათელსაყოფად ისიც გამოდგება, თუ როგორ გააშუქეს მათ 7 ნოემბერს ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი მეთოდებით დარბევა, სამართლებრივად დაუსაბუთებელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და სხვ.), რამაც ქართველი საზოგადოების აღშფოთება და საერთაშორისო თანამეგობრობის მწვავე ნეგატიური რეაქცია გამოიწვია).

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ჩვენს საფუძვლიან უნდობლობას წარმოდგენილი ინსტიტუტებისა და პირების მიმართ და გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ეს ეგზიტპოლი ჩატარდება მიკერძოებულად, ხელისუფლების დაკვეთის შესაბამისად, რათა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ მონაცემებზე დაყრდნობით ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების თვალში დამაჯერებლობა შესძინონ გაყალბებული არჩევნების შედეგებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმ ხიფათს, რომელსაც შეიცავს მიკერძოებული ეგზიტპოლების გამოქვეყნება ზოგადად საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების კონტექსტში და გთხოვთ, ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება გაითვალისწინოთ როგორც წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვებისას, ისე არჩევნების შედეგების შეფასებისას.

ამასთანავე, გთხოვთ თქვენს კომპეტენტურ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, თუ როგორ შეიძლება დაიცვან თავი საზოგადოებამ და დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა არჩევნების სავარაუდო გაყალბებისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის სტაბილურობა და მისი დემოკრატიული განვითარება.

საზოგადოებრივი მოძრაობა
„ზნეობრივი ფრონტი".

⊙ ექსპერტის აზრი

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: გამაოცა „იმედის" ჟურნალისტების ულტიმატუმის ფორმამ...

**ხელისუფლების წინასაახალწლო „საჩუქარმა" — ფარულმა ვიდეოჩანაწერებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — უკვე ალაპარაკდნენ პატარკაციშვილისა და ხელისუფლების ალიანსზეც, გელბახიანის გადაბირებაზეც... თუმცა ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი უარყოფს ამ ალიანსს და ფიქრობს, რომ გელბახიანმა უხეში შეცდომა დაუშვა.**

**— „შეცდომაში შეიყვანეს ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ჩიხში მოაქციეს და მისი შემდგომი განცხადებები არ იყო ისეთი, როგორსაც საზოგადოებრიობა ელოდა.**

ბადრი პატარკაციშვილს პირადად არ ვიცნობ, არც არასდროს შევხვედრივარ, მისგან დავალებული არ ვარ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკოსების მსგავსად, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უხეშ შეცდომასთან და არაფრით არ შემიძლია განვაცხადო, რომ ბადრი და ეს ხელისუფლება შეკრულია. ყოველ შემთხვევაში, ბადრის შესაკრავი არაფერი სჭირს, რადგან ამით იგი არაფერს იგებს. ანდა, რა უნდა მოიგოს? თუ ეს მოხდება, როგორც აქამდე აძლევდა ფულს ხელისუფლებას, ორჯერ მეტი უნდა მისცეს მომავალში.

ორ თვეში ტელეკომპანია „იმედის" ორჯერ დახურვის გამო ჰამლეტ ჭიპაშვილმა, უწინარესად, იმ წნეხზე ილაპარაკა, რასაც ხელისუფლება ამ ტელეკომპანიაზე ახორციელებდა.





„ამ წნეხს ტელეკომპანიამ გარკვეულ ეტაპამდე გაუძლო, შემდეგ კი დაარბიეს და დახურეს. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ჩარევით „იმედი"- კვლავ აღდგა. მაგრამ ხშირად გადიოდა ეთერით სააკაშვილის რეკლამა, რითაც „იმედმა" ყველა ტელევიზიას გადააჭარბა. მართალია, თითო-ოროლა კრიტიკული სარეკლამო რგოლიც გადიოდა, მაგრამ მსგავს რეკლამას სხვა არხებზეც ნახავდით.

ცხადია, ხელისუფლება წნეხს აგრძელებდა. მაგრამ პატარკაციშვილის ბოლო გამოსვლებმა თვითონ ტელეიმედში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ჟურნალისტებმა ტელეკომპანიიდან წასვლა გადაწყვიტეს.

**გამაოცა ულტიმატუმის ფორმამ. მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, დაქირავებულმა ულტიმატუმი წაუყენოს დამქირავებელს და მოსთხოვოს, შენი წილი სხვას უნდა გადასცე. თუ არადა, ჩვენ ტელევიზიას ვაჩერებთო. ეს ისე სასაცილოდ გამოიყურება, ანალოგს ვერ მოუძებნი. ასეთი ულტიმატუმით არსად არც ერთი თანამშრომელი არ ლაპარაკობს.**

თანაც, ეს ადამიანი შემთხვევით მოსული მეპატრონე ხომ არ იყო? „იმედი" ბადრი პატარკაციშვილამდე არ არსებობდა. იგი ამ კაცმა შექმნა, სხვა ტელევიზიებთან შედარებით, დაუნიშნა თანამშრომლებს მრავალჯერ მაღალი ხელფასი, ასევე უამრავი შეღავათით. ყველაფერთან ერთად, ჟურნალისტების პროტესტი ამის დაუნახაობაცაა. არ გინდა მუშაობა? უთქმელად ადექი და წადი. გამოდის, რომ სწორია ირინა სარიშვილი, მაშინ ის ფულიც დააბრუნე, რაც აგილიაო, რომ თქვა.

იხ. 4 გვ.

⊙ ინფორმაცია

### ნატოს წარმომადგენლები ზემო აფხაზეთში

ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ზემო აფხაზეთში გაემგზავრნენ, სადაც 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას დააკვირდებიან. მონიტორინგი 10 დღის განმავლობაში განხორციელდება.

გერმანიის, ფინეთისა და ესტონეთის რეზერვისტთა ოფიცრების ასოციაციის წარმომადგენლები ზემო აფხაზეთში 7 იანვრამდე დარჩებიან. ისინი იმედოვნებენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში და სამართლიანად ჩატარდება.

### რატომ სცემეს აქტივისტები?

„თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლები, რომლებიც გუშინ ინგა გრიგოლიას გადაცემაში იმყოფებოდნენ, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა, დავით კირკიტაძის ხელმძღვანელობით, სასტიკად სცემეს.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ განაცხადა.

— გადაცემის დასრულების შემდეგ, ვიდრე სტუმრები გარეთ გავიდოდნენ, „ნაციონალური მოძრაობის" წითელქუდიანი აქტივისტები „თი-ბი-სი სტუდიის" დარბაზში შეცვივდნენ და მათ ცემა დაუწყეს. სასტიკად ნაცემი ბავშვები გაიქცნენ და ცირკის პირდაპირ სუპერმარკეტში შეცვივდნენ. იქიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდნენ, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა ისინი კვლავ სცემეს. ამის შემდეგ, ნაცემი პირები საავადმყოფოში წავიყვანეთ. ჯაბა ჯიშკარიანს თვალი აქვს დაზიანებული, ერთ-ერთს კი წარბი გაუხეთქეს.. სულ ოთხი ადამიანია ნაცემი, — აღნიშნა მან.

კაკაბაძის თქმით, ამ ყველაფერს „რუსთავი 2"-ისა და უშიშროების კამერები იღებდნენ, თუმცა „რუსთავი 2"-მა კადრების მიცემაზე მას უარი უთხრა.

„თანასწორობის ინსტიტუტის" წევრმა ჯაბა ჯიშკარიანმა პირდაპირ ეთერში იუსტიციის მინისტრს ეკა ტყეშელაშვილს სააკაშვილის ყურმოჭრილი მონა, პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძეს კი დემაგოგი უწოდა.

ინტერპრესნიუსი

№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

# ორომტრიალი

● ოთარ კობერიძე დადის სოფლებში და ხალხს ეხვეწება, სააკაშვილს მხარი დაუჭირეთო. მას დავით ალმაშენებელთან აიგივებს. ოთარ კობერიძეს იცნობენ, როგორც მსახიობს და არ აანალიზებენ, ეს მსახიობი პოლიტიკაში გარკვეულია თუ არა



◎ ექსპერტის აზრი

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: გამაოცა „იმედის“ ჟურნალისტების ულტიმატუმის ფორმამ...

**(მესამე გვერდიდან)**

არჩევნებამდე ერთი კვირაღაა დარჩენილი. ისეთი რა ტრაგედია იყო, მოეთმინათ ერთი კვირა და არჩევნების დასრულების შემდეგ გაეპროტესტებინათ, თუ რამ სურდათ, მაგრამ ესეც პოლიტიკური ნაბიჯია, საკუთარი ტყავის ვითომ გადასარჩენად. არადა, ამ ტყავს არავინ აძრობდათ იმაზე მეტად, ვიდრე შეიძლებოდა დაერბიათ...

მშვენივრად მესმის, რომ ურეკავდნენ, ემუქრებოდნენ. თუ ამდენ ხანს გასძელი, ორი დღეც მოითმინე. თანაც, ასეთი მწვავე განცხადების გაკეთება უფრო უარესია“...

ჰამლეტ ჭიპაშვილს პროგნოზის გაკეთებაც ვთხოვეთ, თუ რა მოხდება 5 იანვარს — ხომ არ ჩაიშლება არჩევნები?

„ხელისუფლება აშკარად არ აპირებს ჩაშლას. ის საკუთარ თავში 100 პროცენტით დარწმუნებულია, რომ პირველ ტურში მიაღწევს გამარჯვებას. საამისოდ ძალიან ბევრი ფული იხარჯება. ქუჩაში ყოველი ფეხის გადადგმაზე, ყველგან — ხეზე, ავტობუსზე, სახლებზე... ხუთიანია შემოხაზული. ამის გარდა, უფასო თუ ფასიანმა ტელერეკლამებმა წალეკა ყველა არხი. არის, ასევე, დაუზუსტებელი სიები, ზოგი მკვდრების, ზოგი არამკვდრების... ცხადად ჩანს, რომ ძალიან უთანაბრო წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ამ კამპანიის მიხედვით, ხელისუფლება 10:0 მოიგებს.

არა მგონია, 5 იანვარს საზოგადოება ისე დაიბნეს, რომ ვერ გაარჩიოს, რა არის შავი და რა თეთრი. ბადრი პატარკაციშვილის სახით შექმნილია მტრის ხატი. უწინ იყო აბაშიძის, შევარდნაძის... ამასაც მიჩვეულია საზოგადოება. ახლა შეიძლება უფრო დაიხვეწა მტრის ხატის წარმოჩინების მეთოდები... თანაც ხელისუფლებამ გვერდში ამოიყენა უამრავი მომღერალი, მოცეკვავე, მის მიერ შექმნილი ინტელიგენცია... მათი ყოველდღიური გამოჩენა ტელეეკრანზე, ბუნებრივია, საზოგადოებაზე მოქმედებს. მაგალითად, ოთარ კობერიძე დადის სოფლებში და ხალხს ეხვეწება, სააკაშვილს მხარი დაუჭირეთო. მას დავით ალმაშენებელთან აიგივებს. ოთარ კობერიძეს იცნობენ, როგორც მსახიობს და არ აანალიზებენ, ეს მსახიობი პოლიტიკაში გარკვეულია თუ არა.



ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი საზოგადოებაზე ზეგავლენას ახდენს, მაგრამ საზოგადოებაზე ყველაზე მეტად განვლილმა ოთხმა წელმა უნდა იმოქმედოს. დარწმუნებული ვარ, მეორე ტური ჩატარდება, რომელიც იძლევა იმის შანსს, რომ გაერთიანდეს ყველა ოპოზიცია. თუ ხალხი სათანადოდ გააანალიზებს მოვლენებს, დარწმუნებული ვარ, ხმები სხვანაირად განაწილდება, ყოველ შემთხვევაში, არცთუ სახარბიელოდ ხელისუფლებისთვის...“ — დაასკვნა ექსპერტმა.

ალბათ, პატარკაციშვილის მიერ კანდიდატურის მოხსნა მაინც ოპოზიციის სასარგებლოდ იმოქმედებს და მხარდამჭერების რაოდენობა გაიზრდება.

**ნატა ნიბლაძე**

◎ მზადყოფნა

## ბადრი პატარკაციშვილის განცხადება

დღეს ოპოზიციის ლიდერებმა ფაქტობრად მოითხოვეს ჩემგან და სააკაშვილისგან, უარი განვაცხადოთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. მე ვიზიარებ მათ მოწოდებას.

მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ პოლიტიკაში გარემოებათა გამო მოვხდი და არ მამოძრავებს პოლიტიკური ამბიციები. სააკაშვილისგან განსხვავებით ხელისუფლებას არ ვეპოტინები. ჩემი ერთადერთი მიზანი საქართველოს აღორძინებაა, რაც შეუძლებელია ხელისუფლებიდან დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოცილების გარეშე.

ჩემთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, სრულიად მართებულია გადავიხადო ფული იმაში, რომ ხელისუფლება ხალხს არ ესროდეს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია რომელი კანონებითაა დაშვებული, გადაიხადო ფული საკუთარი კონკურენტის ფიზიკური მოცილებისთვის, რაზეც წავიდა ხელისუფლება ჩემს შემთხვევაში.

მე მინდოდა გადამეხადა ფული იმაში, რომ ხელისუფლებას ჩემი ხალხისთვის არ ესროლა, ხოლო ისინი კი ფულის გადახდას ჩემს მოკვლაში აპირებდნენ.

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს გახდეს უმაღლესი ხელისუფალი ქვეყანაში, საზოგადოებისთვის უნდა იყოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე.

ამიტომ მე მზად ვარ შევწყვიტო წინასაარჩევნო კამპანია და მივმართო ცესკოს განცხადებით, რომ უარს ვიტყვი არჩევნებში მონაწილეობაზე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი დემოკრატიული ხელისუფლება შეძლებს მისცეს სამართლებლივი შეფასება როგორც ჩემს მოქმედებებს, აგრეთვე იმათ, ვინც ტერორი გააჩაღა ჩვენს ქვეყანაში, ვინც ჩეჩენი ტერორისტების დახმარებით ჩემს მოკვლას გეგმავდა.

მე არ მიჭირს ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც არასდროს დამიყენება საკუთარი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. მადლობას ვუხდი ყველას ვისაც სჯეროდა და სჯერა ჩემი, ისინი გაწბილებული არ დარჩებიან, მე ძალაში ვტოვებ ყველა იმ ძირითად დაპირებას, რომელიც ქართველ ხალხს მივეცი.

მე ეჭვი არ მეპარება, — სააკაშვილის რეჟიმი დამარცხდება! არჩევნებამდე დარჩა 8 დღე. მოგიწოდებთ ხალხო დავდგეთ ყველანი ერთად, ერთად მოვიპოვოთ გამარჯვება, რომ 6 იანვარს სიკეთის გზაზე შემდგარ საქართველოში გაგვითენდეს დილა!

27.12.2007

◎ პრესკონფერენცია

## ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ უხეშ დარღვევებში ადანაშაულებენ

**ადამიანის უფლებათა ცენტრში ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო დარღვევებზე იმსჯელეს, რატომღაც ეს ფაქტები მთავრობის ფავორიტი ტელევიზიებისთვის უინტერესო აღმოჩნდა: პრესკონფერენციაზე „რუსთავი-2“, „მზე“ და საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტები არ მისულან. არადა საზოგადოებას დღეს ყველაზე მეტად მსგავსი დარღვევების გამოვლენა და სამართლიანი არჩევნების ჩატარება აინტერესებს, რაც ობიექტური მასმედიის გარეშე წარმოუდგენელია.**

ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა: — „საარჩევნო კანონმდებლობა უხეშად ირღვევა სახელისუფლებო ორგანიზაციები მოქალაქეებზე პირდაპირ ზემოქმედებენ, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივ გამოყენებასა და საარჩევნო სიების გაუმართაობით მანიპულირებაში სდებენ ბრალს. ფაქტებზე მუშაობდნენ ორგანიზაციის ჟურნალისტები და იურისტები, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ხუთ რეგიონში. მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება ითქვას, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. ხელისუფლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობს დააშინოს მოსახლეობა და ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც სააკაშვილისთვის ხმის მიცემას არ აპირებს. იყო ფაქტები, როდესაც კანდიდატებს არ აძლევდნენ საშუალებას შტაბის გასახსნელად შენობა დაექირავებინა“.

ცენტრის ხელმძღვანელს განსაკუთრებით საგანგებოდ ის დარღვევები მიაჩნია, რომელიც ცესკოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან ამოიღეს. მასში შეტანილია 1900 წელს დაბადებული პიროვნებები, გადამოწმების შედეგად კი მათგან ზოგი უკვე გარდაცვლილია, ზოგი კი საერთოდ არ არსებულა. მაგალითად, სიის მიხედვით გურჯაანში 107 წლის 21 ადამიანია რეგისტრირებული, არადა, აქედან სინამდვილეში ერთი გარდაცვლილია, დანარჩენი კი არარსებული ადამიანია შეყვანილი.

უჩა ნანეიშვილმა იმ კონკრეტულ ფაქტებზეც ილაპარაკა, რასაც ხელისუფლება ოპოზიციის მომხრე მოქალაქეების მიმართ სჩადის.

26 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის მკვიდრ ილია ბეგიაშვილს თელავის საგადასახადო ინსპექციამ სახლში გახსნილი მაღაზია დაუხურა, მომხდარს დაზარალებული კონკრეტულ ფაქტს უკავშირებს, კერძოდ, როცა ლევან ბერძენიშვილი და ივლიანე ხაინდრავა ხალხთან გასაუბრების დროს საკუთარ ეზოში მწვადებზე მიიპატიჟა. დალუქვისას ინსპექციის თანამშრომლები ბეგაშვილს დაემუქრნენ. ამას ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონალური კოორდინატორიც შეესწრო.

23 დეკემბერს ქუთაისში ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდულ ფორუმზე სტუდენტები მოტყუებით მიიყვანეს და გარეთ გამოსვლის საშუალება არ მისცეს.

უფლებადამცველი ორგანიზაციის ცნობით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისგან მოითხოვენ მიხეილ სააკაშვილის გარდა ურთიერთობა არ ჰქონდეთ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან.

თვითმხილველთა თქმით, სიღნაღში პოლიციის თანამშრომლები (გამომძიებელი გიორგი ელიზბარაშვილი და სხვები) ამავე რაიონის მკვიდრს ზაზა ბარნაბიშვილს სააკაშვილის არარჩევის შემთხვევაში ჯიბეში ნარკოტიკების ჩადებით და დაკავებით დაემუქრნენ. ელიზბარაშვილის მამა სიტუაციის გასარკვევად გამომძიებელ ბარნაბიშვილთან მივიდა, პოლიციამ კი იგი ბარნაბიშვილისთვის სხეულის მსუბუქი დაზიანების ბრალდებით“ დააკავა. არადა, პოლიცია პოლიტიკური ნიშნით დაკავებას გამორიცხავს.

ბათუმში, საგადასახადო ინსპექციამ ოპოზიციური პარტიის ნათესავების ბიზნესის შემოწმება დაიწყო, საწარმოო ობიექტები დღემდე დალუქულია, იმის მიუხედავად, რომ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. ზუგდიდში გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგის მონაწილეებს დღემდე დევნიან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ აღნუსხული ფაქტებით ძნელი არ არის წინასწარ არჩევნების ობიექტურობის და სამართლიანობის განსაზღვრა. სწორედ, ამიტომაც აშინებს საზოგადოებას მოახლოებული 6 იანვარი.

**ლელა მანავლიშვილი**

◎ ინფორმაცია

## ნაციონალთა სპიკერი ზრდილობისკენ მოუწოდებს

„ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერი დავით ბაქრაძე მხარდამჭერებს მოუწოდებს, სიმშვიდე შეუნარჩუნონ და არ აყვნენ ოპონენტების მხარდამჭერთა პროვოკაციებს.

ამის შესახებ დავით ბაქრაძემ საარჩევნო შტაბში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა წინააღმდეგ პროვოკაციული ქმედებები ხორციელდება.

— როგორც ჩანს, ჩვენდა სამწუხაროდ, პოლიტიკურმა ოპონენტებმა და მათი მხარდამჭერების ნაწილმა გადაწყვიტა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის საფირმო ნიშნად ან ბრენდად აგრესიულობა, თავხედობა, უზრდელობა და განსხვავებული აზრის მიმართ შეუწყნარებლობა იქცეს, — აღნიშნა ბაქრაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მართალი სიტყვა

● „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი დღეს იქვე გვერდით, იტალიურ ეზოში (კოსტავას 12 ნომერშიძ პირველი სართულის სამადლსამ პატარა ოთახშია განთავსებული



◉ მეგობრისა და მკითხველის თვალსაწიერიდან

# „რესპუბლიკაზე“ შეყვარებული კალმოსნები

**მგელი არ მაშლის მგლობასა,**
**კაი ყმა მამაცობასა,**
**არწივი არწივობასა...**
**ხალხური**

**იმ ავადსახსენებელმა საბჭოთა ხელისუფლებამ, ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, გულუბრყვილობის მენტალიტეტი ჟურნალისტებსაც დაანათლა. მერე როგორ ჟურნალისტებს! ისეთებსაც კი, როგორებიც 1918 წლიდან(!ძ ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლიდან კვლავ აღდგენილი გაზეთის ათასნაირად გამოჯეკილი და თმაგათეთრებული მეკალმეები და მესვეურები არიან.**

გულუბრყვილობის მენტალიტეტი-მეთქი!

სწორედ ამ გულუბრყვილო (რა ვქნათ, დონ-კიხოტსაც ხომ ასეთი სიკეთე ჰქონდა მომადლებულიძ მეკალმეებსა და მესვეურებს, და არა მარტო მათ, არაფრით არ სჯეროდათ, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ ხუთსართულიანი შენობა კოსტავას 14 ნომერში, აშენებიდან მათი (ე.ი. ჟურნალისტებისძ ადგილსამყოფელი და „საკუთრება“ რომ იყო, — გაიყიდებოდა და პრესა და მისი მსახურები ფიროსმანის ბედს გაიზიარებდნენ.

საბაზრო ეკონომიკამ და კერძო საკუთრებამ ჟურნალისტების იმედები ქარს გაატანა: სახელმწიფო საკუთრებად შერაცხული საბჭოთადროინდელი ე.წ. „ცეკას“ გამომცემლობის (დღეს კი შპს „სამშობლოს“ძ შენობა ხელისუფლებამ საპრივატიზებოდ „მომზადების“ საბაბით მის მდგმურებს ციმციმ „დააცლევინა“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად მასმედიისა და განათლების უამრავი კერძო ორგანიზაცია და დაწესებულება ქუჩაში გამოაძევა.

ნუ გიკვირთ, რომ ხელისუფლება უზოდიშოდ მოიქცა. ზრდილობა დღეს მრავალ უწვერულვაშოს კი არა, უფრო მოზრდილ ბევრ „უფროსსაც“ არ მოეთხოვება.

დიახ, საბაზრო ეკონომიკის კანონები ულმობელია. მას, როგორც იტყვიან, ცრემლებით და პათეტიკით გულს ვერ მოულბობ. არადა, ჟურნალისტებს არც ერთი დაუკლიათ და არც მეორე. მაგრამ...

მაგრამ ამ ხელჩართულ ბრძოლაში არავის გახსენებია, რომ ხელისუფლებამ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ფუნქციადაკარგული, დახურული და გაუქმებული ფაბრიკა-ქარხნებიდან და დაწესებულებებიდან, ჩვენს თვალწინ, სწორედ ასე უზოდიშოდ და ულუკმაპუროდ გამოყარა ქუჩაში ქვეყნის ასეულ ათასობით მუშა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურე. დიახ, ასეულ ათასობით კაცი ქუჩაში გააძევა!!

ეს გახლავთ სოციალიზმის ნანგრევებზე საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების უპრეცედენტო ისტორიული პროცესი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უფროსი თაობის აწმყო და მომავალი შეეწირა! ქვეყნის მოსახლეობას მთელი სერიოზულობით ეს ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით გაცნობიერებული! არადა, ეს რეალობაა!

მაგრამ მასმედიაც? დიახ, ბატონო, მასმედიაც!

უბედურებაში ერთად ყოფნა, საყოველთაო უბედურება უფრო ადვილად გადასატანია! განა არა!?

მედიაშიც ხომ უკვე გამოიკვეთა რეალობას მორგებული, წარმატებული და წელში გამართული ცალკეული გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების შპს-ები, კომპანიები, ჰოლდინგები...

ჟურნალისტებმაც, ამ ყველგან მყოფმა, ყველაფრის შემძლე და გამძლე ჟურნალისტებმაც „ისწავლეს“... დიახ, ბევრი რამ ისწავლეს, პირველ რიგში, ბიზნესი და, არაიშვიათად, პოლიტიკისა და კარიერის კეთებაც!

მდიდრები და ღარიბები ყველგან გაჩნდა! მასმედიაშიც!

ასეთია რეალობა!

ასეთი საზოგადოება იქმნება.

მაგრამ მე ჩემს საყვარელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებს და, ადრე რომ „რედაქციის კოლექტივს“ ეძახდნენ, მათ მინდა დავუბრუნდე და მოვეფერო.

ეს ჩემი, და არა მარტო ჩემი, გაზეთია. ამ გაზეთის ჟურნალისტებმა წერაც იციან, კითხვაც და საუბარიც, ამასთან ცოდნაც და ვეებერთელა ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვთ. თუმცა...

აქ ბატონი შალვა ნუცუბიძის ერთი გამონათქვამი მახსენდება.

თურმე ერთმა მოპაექრე „მეცნიერმა“ ერთ-ერთ დისკუსიაზე ბატონ შალვას ირონიულად ჰკითხა, თქვენ როდის დადექით ჩვენს პლატფორმაზეო? ენაკვიმატ ფილოსოფოსს უმალ უპასუხნია: როდესაც რევოლუციის მატარებელი ოქტომბრის პლატფორმაზე ჩამოდგა, „უბაგაჟო“ ხალხი უმალ გადმოხტა და პლატფორმაზე დადგა. ნურას უკაცრავად, თუ „ბაგაჟიან“ ხალხს ცოტა დაგვაგვიანდაო.

ბატონი შალვას ეს მახვილი შენიშვნა საოცარი სიზუსტით ასახავს უფროსი თაობის დღევანდელ ვითარებას. დიახ, ისეთი დრო დადგა, რომ ვეებერთელა ცხოვრებისეული გამოცდილება და დიდი ცოდნა („ბაგაჟი“ძ, რომლითაც დღეს, საერთოდ, მხცოვანი ადამიანები არიან „დატვირთული“, ყოველთვის არ იძლევა გარემოსთან იოლი ადაპტირების (შეგუების)ძ შესაძლებლობას. მე ხაზს ვუსვამ სიტყვას „იოლი“, რადგან ეს „შეგუება“, ადრე თუ გვიან, მაინც ხდება, თუმცა „უბაგაჟო“ ამას გაცილებით სწრაფად ახერხებს და გამოცდილებით და ცოდნით „დამძიმებულ“ კოლეგებს საბაზრო ეკონომიკის პლატფორმაზე გადასვლას ასწრებს.




დიახ, შეგუების სიძნელეების გამო ბევრი რამ შეიძლება კაცმა წააგოს! ახალ პლატფორმაზე მსუბუქად ჩამომხტარი მრავალი ჟურნალისტი ისე გაიწაფა, რომ დღეს მასმედიის „თამაშის წესებს“ ადგენს. „ბაგაჟით“ დამძიმებული თმაგათეთრებული ჟურნალისტები კი ისეთ პიროვებში არიან, შეიძლება მათ, ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით, უფრო ძველი ლათინური გამოთქმა „ჩოგიტო, ერგო სუმ“ (ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობძ მიესადაგოთ.

სწორედ ისეთში, დღეს რომ ჩემი საყვარელი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები არიან.

მათ ყოველდღიურ ჟურნალისტურ საქმიანობას და ე.წ. „გაზეთის კეთებას“ მხოლოდ „სიყვარული გზად და ხიდად“ შეიძლება ეწოდოს: თავის ფეშენებლურ „სამშობლოს“ შენობის მეოთხე სართულის აპარტამენტებიდან გამოსახლებული „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი დღეს იქვე გვერდით, იტალიურ ეზოში (კოსტავას 12 ნომერშიძ პირველი სართულის სამადლსამ პატარა ოთახშია განთავსებული.

აქ ყველაფერი ღიაა, რომ იტყვიან, ხელის გულზეა, ყველანი ერთად არიან: რედაქტორი, მისი მომდევნო ჩინები და რიგითი კალმოსნები, მიმართულებათა ხელმძღვანელები და კომპიუტერების ოპერატორები... ადგილი და სკამი ყველას არ ყოფნის, სტუმრად მოსულებს ადგილს უთმობენ... მაგრამ ყველა იმედიანადაა, საფიქრალი და საზრუნავი ყველას ერთი აქვს: გაზეთის კეთება, რომელიც სხვა გაზეთებისგან დახვეწილი, უჟარგონო ქართულით და სტილით გამოირჩევა (გაზეთს, ძირითადად, სწორედ მათებრ დიდი გამოცდილებისა და „ბაგაჟის“ მქონე, დახვეწილი გემოვნების მკითხველი ჰყავს!ძ და სხვებს არც სიახლით და სიმწვავით ჩამორჩება.

რა თქმა უნდა, ასეთ, შეიძლება ითქვას, საევაკუაციო პიროვებში საქმიანობას ყველა ვერ უძლებს და შინ მუშაობას არჩევს, მაგრამ ჭეშმარიტი ჟურნალისტი მაინც თავისიანებთან ერთად ამჯობინებს ყოფნას. ერთად ყოფნა მაინც იმედია. იმედი კი, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს და — ბევრს ნიშნავს!

**გვარ-სახელებს არ ჩამოვთვლი! — დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა მუშაკი და კალმოსანი გმირია!**

ბოლოს და ბოლოს, მათ შემხედვარეს აზრი მიჩნდება, რომ ჟურნალისტობის პროფესია ერთგვარი დაავადებაა. როგორც „მგელი არ მაშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა, არწივი არწივობასა“, ისე ჟურნალისტი, მით უფრო მხცოვანი, — კალმოსნობასა...

მისაბაძი ერთგულებაა პროფესიისადმი!

თქვენ არავის არ ჰგავხართ, „რესპუბლიკელებო“! თქვენ — ეს თქვენ ხართ!

ბედნიერი ვარ, რომ თქვენი წყლის წვეთები მეც მეპკურა!

ახლო მომავალში, როდესაც დღევანდელი ახალგაზრდა ჟურნალისტები წამოიჩიტებიან და „ბაგაჟი“ დაუმძიმდებათ, იცოცხლეთ, გამოცდილებასა და ცოდნას ფასი კვლავ დაედება!

**ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანები, ძვირფასო „რესპუბლიკელებო“!**

**გულწრფელად და სიყვარულით გილოცავთ დამდეგ 2008 წლის შობა—ახალ წელს!**

*პატივისცემით თქვენი*
**ამირან გაბისონია**
20. 12. 07.

◉ ინფორმაცია

## ახალი თანამდებობები საქართველოს მთავრობაში

საქართველოს მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის თანამდებობა შემოდის.

შესაბამისი ცვლილების შეტანა საქართველოს კონსტიტუციაში იგეგმება, რომლის ინიცირებაც პარლამენტის გუშინდელ ბიუროს სხდომაზე მოხდა.

კონსტიტუციაში ცვლილების პროექტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი იქნება მთავრობის ერთ-ერთ წევრს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ვიცე-პრემიერისა ან ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება დაავალოს.

გარდა ამისა, კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, ტერმინი „გუბერნატორი“ კონსტიტუციური ხდება.

განისაზღვრება ისეთი შემთხვევაც, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელება არ შეუძლია ან თუ ასეთ დროს პარლამენტი დათხოვნილია; საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში შეასრულებს პრემიერ-მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობას კი — პირველი ვიცეპრემიერი.

ამასთან, კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდება 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგებით გათვალისწინებულ ვადებში, არჩევნების თარიღს კი დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღით ადრე.

აღნიშნული ცვლილებები ერთი თვის განმავლობაში საჯარო განხილვის საგანი იქნება, შემდეგ კი მას უკვე პარლამენტი განიხილავს და მიიღებს.

## შეწყალების აქტი მზად არის

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე პენიტენციალური სისტემისთვის 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხებით კმაყოფილია.

როგორც ელენე თევდორაძემ განაცხადა, მან მიზანს მიაღწია და პატიმრის კვების თანხა თვეში 50 ლარიდან 80 ლარამდე გაიზარდა.

მისი თქმით, მართალია ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა 21 ათას პატიმარზეა გათვლილი, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამ რაოდენობის პატიმარი ქვეყანაში არ იქნება.

მისი თქმით, იყო 20 ათასი პატიმარი, რაც 19 ათასამდე შემცირდა, თუმცა საახალწლოდ უფრო დიდი სიურპრიზი მზადდება.

ელენე თევდორაძის განცხადებით, უკვე მზად არის შეწყალების აქტი, რომლითაც საახალწლოდ კიდევ ბევრი პატიმარი გათავისუფლდება.

შესაწყალებელი პატიმრების რაოდენობას და დანაშაულის მუხლებს თევდორაძე ჯერჯერობით საიდუმლოდ ტოვებს.

ინტერპრესნიუსი

# ცხოვრება

● ხალხის ნება გადაძლევს თუ ფულითა და ფორჩიანი კანფეტებით მოსული ცრუ პოლიტიკოსები, ამ კითხვას 5 იანვარს გაეცემა პასუხი



◉ არჩევნების წინ

## გაყიდული რუსთავი გამყიდველებს აღარ ენდობა

*რუსთავის ერთ-ერთ ხალხმრავალ, ტაშკენტის ქუჩის დასაწყისთან, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირის ქიული შარტავას ბიუსტი გაჰყურებს, მრავალსართულიანი სახლის პირველი სართულის ვარდისფრად შეფერილი ფასადის კარები ამ დღეებში ერთთავად ღიაა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის შტაბში ცხელი დღეები უდგათ. ათას კითხვაზე გვიხდება პასუხის გაცემა, უამრავი საქმე უნდა გავაკეთოთ არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროშიო, გვეუბნება შტაბის ხელმძღვანელი მალხაზ გორგასლიძე, შტაბის კოორდინატორი კახა შარტავა კი დღეს ძალიან დაკავებულია და არ ჩამოსულაო.*

— რუსთავის მოსახლეობის უმრავლესობა რომ ჩვენი მხარდამჭერია, ეს დღესავით ნათელია, — დარწმუნებულია შტაბის ხელმძღვანელი.

— დღეს თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია უჩივის ხელისუფლებისგან ზეწოლას. ეს საზოგადოებისთვის მართლაც თვალსაჩინოა.

— რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. ჩვენი რამდენიმე წევრის ოჯახის წევრები სამსახურებიდან გაათავისუფლეს კიდეც. ასეთი რამ ქვემო ქართლის რაიონებშიც მრავლად ხდება. დაუფარავი და ერთმნიშვნელოვანი ზეწოლაა ჩვენი კომისიის წევრებზეც. ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ თავს შევიკავებ ამისგან, რადგან ეს უკეთესობისკენ არაფერს შეცვლის და შესაძლოა, უარესად გააღიზიანოს ხელისუფლება, რომელიც ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი, მაგრამ არასასიამოვნო და შეიძლება ითქვას, სამარცხვინო მეთოდებით ცდილობს საზოგადოების მოტყუებას და წინასაარჩევნო ქულების მოპოვებას.

**— კომუნისტები თავიანთი მმართველობის წლებში საარჩევნოდ ერთ კანდიდატს წამოაყენებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მძლავრ საარჩევნო პროპაგანდა-აგიტაციას აჩაღებდნენ. მათ მეთოდს ჩინებულად იყენებს დღევანდელი ხელისუფლება. უფრო მეტიც, ვითომ საახალწლო ამანათებიც კი მიაქვთ.**

— ვიცი, ერთ ოჯახში მეც შევესწარი, მათი გამოგზავნილი პურმარილით როგორ მოილხენდნენ და როგორ „ამკობდნენ“ პრეზიდენტყოფილს. ასეთი წინასაარჩევნო ამანათები, რა თქმა უნდა, კანონის უხეში დარღვევაა. კანონს კი ხელისუფლება ყოველ ნაბიჯზე არღვევს. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურობენ, ორასზე მეტი ადამიანი ჩავრთეთ ამ საქმეში, მაგრამ ჩვენი მთავარი იარაღი სახალხო მოძრაობის კანდიდატის ღირსება, მამულიშვილობა, მისი კონსტრუქციული პროგრამაა, რომელიც გათვლილია ერის გადარჩენაზე. გადაჭარბებული არაა, თუ ვიტყვი, რომ ლევან გაჩეჩილაძის პროგრამა საუკეთესოა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დიდი მოწონებით სარგებლობს. ხალხმა მწარედ იწვნია პრეზიდენტყოფილის მმართველობის უკულმართობა, უმუშევრობა, შიმშილი, ოჯახის წევრების უცხოეთში გადახვეწა და ბოლოს 7 ნოემბერი. ეს ცოტაა?

**— რას იტყვით არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე. ზოგჯერ მიცვალებულთა ე.წ. გაცოცხლებაზე საარჩევნო სიებში. პირადად მე აღმოვაჩინე, რომ მარტო ჩემს სადარბაზოდან უცხოეთში გასულია 14 ადამიანი. ისინი არჩევნებში მონაწილეობას ვერასგზით ვერ მიიღებენ და რა დაცვის მექანიზმები გაქვთ, რომ საარჩევნო კომისიებში, სადაც უმეტესობა მთავრობის მხარდამჭერია, ასეთი ხმები არ გაყალბდება?**

— ეს სერიოზული ფაქტია, მსგავსი დარღვევების საკმაოდ ვრცელი ნუსხა არსებობს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველაფერი ილონა იმისთვის, რომ ეს უკანონობა დაეკანონებინა. სიები საარჩევნო უბნებზე ბოლო დრომდე არ გამოიტანეს. ზოგან დღემდე არაა გამოკრული. ხშირია შემთხვევები, როცა სიებს ცვლიან. თუ გაყალბებას არ გეგმავენ და არც არჩევნების შედეგების ეშინიათ, რატომ იცავენ მიცვალებულთა სიებს? ვცდილობთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით შევეწინააღმდეგოთ ამგვარ ქმედებებს. რაც მთავარია, არჩევნების დღეს მკაცრად უნდა გავაკონტროლოთ სიტუაცია. ასევე მჭიდროდ ვითანამშრომლოთ უცხოელ დამკვირვებლებთანაც და ნებისმიერ დარღვევას გამოვააშკარავებთ. იმედი გვაქვს საზოგადოების მხარდაჭერისა. ჩვენ მხარში გვიდგას აბსოლუტური უმრავლესობა და ეს ყველასთვის ცხადია. ჩვენი გამარჯვების საწინდარი გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის და მის გვერდით მდგომ ეროვნული სულისკვეთების ადამიანთა ერთობლიობაა, რაც ხალხის ინტერესებს ეხმიანება.

* * *

შტაბის ხელმძღვანელი კია ოპტიმისტურად განწყობილი, მაგრამ რუსთაველებს მაინც ეჭვი ეპარებათ, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. ხალხის ნება გადაძლევს თუ ფულითა და ფორჩიანი კანფეტებით მოსული ცრუ პოლიტიკოსები, ამ კითხვას 5 იანვარს გაეცემა პასუხი. ლევან გაჩეჩილაძის მხარდასაჭერად მოსულ რუსთაველთაგან ერთმა ისიც მითხრა, გავიგე, წინა არჩევნების გამოცდილ გამყალბებელთა გუნდი ახლა საგანგებო წვრთნას გადისო. დანამდვილებით ვერვინ იტყვის, რა ხრიკებს გამოიყენებენ, მაგრამ აქტიურად კი ემზადებიანო. ერთ მათგანს მეც ვიცნობ, მამალაძის დროიდან მოაქვს „გამოცდილება“ და ისიც ვიცი, რომ ერთ ასეთ „სამთავრობო“ გუნდს ხელმძღვანელობს. ვნახოთ, რას „გვიქადის“ არჩევნები.

**გივი ჯახუა**

◉ ინფორმაცია

### სარიშვილი კანდიდატურის მოხსნისთვის მზად არის

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოპოზიციის მიერ ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საკუთარი კანდიდატურის მოხსნისათვის მზადაა.

„ამას წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისიდანვე ვაცხადებდი. დღესაც ვადასტურებ, რომ მზად ვარ ჩემი კანდიდატურა ნებისმიერი ერთი ოპოზიციური კანდიდატის დარჩენის შემთხვევაში მოვხსნა, რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და პატარკაციშვილის გარდა“, — აცხადებს საagenტოსთან საუბარში ირინა სარიშვილი.

მისივე თქმით, თუ ეს ვერ მოხერხდა, იგი ჩვეულებრივად დატოვებს თავის კანდიდატურას და საქართველოში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

### 31 დეკემბერი დასვენების დღეა

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილებით, 31 დეკემბერი დასვენების დღედ გამოცხადდა.

ამის შესახებ დღევანდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება იმიტომ არის მიღებული, რომ ამომრჩევლები უკეთ მოემზადონ ახალი წლისთვის.

ამ გადაწყვეტილებით, საახალწლოდ 5-დღიანი დასვენების პერიოდი გამოდის, რადგან 29 და 30 დეკემბერი შაბათ-კვირაა, 1 და 2 იანვარი კი დასვენების დღეებია.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინტერაქტიური მეთოდი

## დევნილი და თბილისელი მოსწავლეები დაახლოვდა...

### ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ მოსწავლეთა კონფერენციის მონაწილეები დიპლომებით დააჯილდოვა

**ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ეგიდით, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მე-5 კონფერენცია გაიმართა. პროექტი 2006 წლის ოქტომბერში დაიწყო ათზე მეტ სკოლაში. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ორი პარტნიორი ორგანიზაცია — პედაგოგ-ტრენერთა კავშირი „ლამპარი“ და ახალგაზრდა პედაგოგთა და ფსიქოლოგთა ასოციაცია ერთი წლის განმავლობაში ბავშვებთან საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებდა.**

პროექტის მიზანი იყო ბავშვების ინტეგრაციისადმი ხელშეწყობა ადგილობრივ საზოგადოებაში.

„ამ ორ ორგანიზაციაში თავად არიან გაერთიანებული დევნილი პედაგოგები და ტრენერები. ჩვენ მათთან, როგორც ინდივიდთან 2000 წლიდან ვმუშაობთ. შემდეგ მათ დამოუკიდებელი ორგანიზაციები დააფუძნეს. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლად განვითარებას“, — გვითხრა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა ლალი სანთელაძემ.

ზემოხსენებული ორი ორგანიზაცია მოსწავლეებთან კლასგარეშედ მუშაობდა და აცნობდა მათ ადამიანის უფლებებს, სამოქალაქო განათლებას, ეკოლოგიას, გენდერის, ჯანსაღი ცხოვრების წესს, ნარკომანიისა და შიდსის პრევენციას, სკოლა აგრესიის გარეშე, — თემებს.



— საგანგებოდ შევარჩიეთ დევნილთა სკოლები ან ისეთი სკოლები, სადაც უმრავლესობა დევნილია, — გვითხრა ტრენერ პედაგოგთა კავშირის „ლამპარის“ დირექტორმა დარეჯან ოდილავაძემ, — ეს ბავშვები კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობენ და იმის მიუხედავად, რომ ომი თვალით არ უნახავთ, აქვთ გამუდმებული სტრესი, საზოგადოებისგან გაუცხოებულად გრძნობენ თავს. დევნილისგან თითქმის ურჩხულიც კი შექმნეს.

ამიტომ სოციუმის სრულფასოვან წევრად რომ ეგრძნოთ თავი, დავიწყეთ მათთან მუშაობა. სკოლები ისე შევარჩიეთ, რომ ისინი ადგილობრივ მოსწავლეებს დაახლოვებოდნენ. მართლაც, ტრენინგების შედეგად, აფხაზეთის №3 (თბილისის ზღვაძ და თბილისის 207-ე სკოლა ერთმანეთს დაუმეგობრდნენ. იგივე განმეორდა წყნეთისა და 76-ე სკოლებს შორის.

ბავშვებთან მუშაობა კონფერენციის სულისჩამდგმელისთვის, ლალი სანთელაძისთვის გამორჩეული პროექტია. ინტერაქტიური მეთოდებით, რაც გულისხმობს დრამას განათლებაში, ანუ სწავლას თამაშით, ბავშვი, რომელსაც კომუნიკაციის პრობლემები ჰქონდა და საზოგადოებასთან ურთიერთობა უჭირდა, საგრძნობლად შეიცვალა. ეს ჯადოსნური თამაშები სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს ტრავმირებულ ბავშვებში და მათ შეგუებას უადვილებს.

„როდესაც მათ ვკითხეთ, რა ისწავლეს ამ მეცადინეობის შედეგად, თბილისელმა მოსწავლეებმა აღნიშნეს: ჩვენ გავიგეთ, დევნილი ბავშვები ცუდები არ არიანო, ხოლო თბილისელმა მოსწავლეებმა აღიარეს, რომ დევნილების პრობლემებში გაერკვნენ.

იყო ასეთი შემთხვევაც — მოსწავლე, რომელზეც სკოლამ უარი განაცხადა, ძალით შეიყვანეს ტრენინგზე. გაოცებულმა ბავშვმა იკითხა, ნუთუ მართლა გაინტერესებთ ჩემი აზრიო. ეს მოსწავლე ყველაზე აქტიურად ჩაება მეცადინეობაში, ხოლო როდესაც თხილის სეზონზე ბალში გაჰყვა ბებიას დასახმარებლად, დაიბარა, გემუდარებით, ჩემს ადგილს არავინ დასვათო... და ერთხელაც, როცა სკოლის დირექტორმა იხილა მისი აქტიურობა, გაოცდა — რაც სკოლის მთელმა პედკოლექტივმა ვერ შეძლო, თქვენ მოახერხეთო.

სწორედ ამ ტრენინგების შემაჯამებელი ორდღიან კონფერენციას უმასპინძლა 24-ე სკოლამ. გენდერის, ეკოლოგიის, მშვიდობისა და ტოლერანტობის, ემპატიის განვითარების თემებზე მინისპექტაკლები წარმოადგინეს დევნილმა და თბილისელმა მოსწავლეებმა.

**კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დიპლომები.**

**ნატა ნიბლაძე**

● სანდრა ქებათა-ქებას უძღვნის ქართულ ენას, რომელიც უმალ შესანიშნავად შეისწავლა, ეუფლება ქართულ მელოდიებს, ახორციელებს მრავალ საქველმოქმედო პროექტს, ფრანგულ ენას ასწავლის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში



◉ პორტრეტის ცდა

*ეს წიგნი შემთხვევით ჩამივარდა ხელთ და, აქედანვე უნდა ვთქვა, ძალიანაც დამაინტერესა. თავად განსაჯეთ: გარეკანიდან საქართველოს პირველი ლედი გვიღიმის, ქვემოთ კი წარწერაა – „სანდრა ელისაბედ რულოვსი. იდეალისტის ნაამბობი. საქართველოს პირველი ლედი". უკვე წინათქმიდან, უკვე პირველივე სტრიქონებიდან გიზიდავთ ქალბატონი სანდრას ავტობიოგრაფიული ნაწარმოები (მთარგმნელი დავით ღოლეჯაშვილი), ახალგაზრდა ქალის გზა, რომელიც ჰოლანდიიდან იწყება, ამერიკისკენ მიემართება და საქართველომდე მოდის. სტილი ნატიფია, ჩამოძერწილი, რაც, ეტყობა, სანდრას გატაცების „გრალიცაა" – იგი ფილოლოგია, ფრანგულისა და გერმანულის სპეციალისტია, თანაც, ბავშვობაში სულ ვოცნებობდი, მწერალი გამოვსულიყავიო – წერს იგი.*

# ჩვენი იდეალისტი რძალი

„ჩემი პირველი მოთხრობისთვის ფსევდონიმიც კი მქონდა მოფიქრებული: „არდნას სვოლურ" (ჩემი სახელი და გვარი შებრუნებით). ქღერადობა მომწონდა, ჩემი აზრით, ცოტა რუსულსაც ჩამოჰგავდა. მინდოდა, მეწერა და ცნობილი გავმხდარიყავი..."

შემდეგ აბზაცში კი უკვე პატივისცემით იმსჭვალები ავტორისადმი და არც ამ სიტყვების სიმართლეში გეპარება ეჭვი: „რამდენიმე წელია თან დავატარებ საქართველოს, უფრო სწორად, საქართველოს ფორმის ოქროს კულონს. ამ ჟესტით იმის აღნიშვნა მინდა, რომ ამ ქვეყნის ბედ-იღბალს ვიზიარებ. ქართულ ენაში ერთი კარგი სიტყვაა – მეუღლე. ჩემი თავი სწორედ ასე წარმომიდგენია: ვხედავ, როგორ ვეწევი ჩემს ხართან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ მძიმე უღელს"...

„ხართან ერთად", ესე იგი, მის რჩეულთან, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, რომელსაც საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში დაუკავშირა თავისი ბედი, თუმცა მაშინ ალბათ, ვერც წარმოიდგენდა სანდრა, რომ სულ ათიოდ წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის პირველი ლედი გახდებოდა. დიდი ცოდნა ამ ქვეყნის ისტორიისა, პატივისცემა და სიყვარული მისი თვითმყოფადი კულტურისა და ხელოვნებისადმი, ტრადიციებისადმი, ქართველი კაცის ნიჭისა და უნარისადმი ძალუმად იგრძნობა წიგნში და ეს, ცხადია, კიდევ უფრო პატივისცემით გავსებთ ავტორის მიმართ.





საქართველოს წარსული რომ აინტერესებს, ახლა მეუღლის წინაპრებისადმი ამჟღავნებს ჰოლანდიელი რძალი პატივისცემასა და სიყვარულს.

„გიულის ბაბუა, ნიკუშა წერეთელი, ძველი თავადური გვარის შთამომავალი იყო, ისევე როგორც გიულის ბებია – თამარ აბაშიძე, რომელმაც ოთხმოცდათოთხმეტი წელი იცოცხლა. მე ეს ქალბატონი მოგვიანებით გავიცანი და რამდენიმე წლის მანძილზე ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან. თამარა ბებიამ, ვისაც ეს წიგნი ეძღვნება, უმძიმესი ცხოვრება გაიარა. ოჯახში ხუთი ძმა და ორი და იყვნენ. დღეს მათგან ერთიღა არის ცოცხალი.

რძალი უკვე თბილისშია, მართლმადიდებლურად ჯვარდაწერილია და ქართულ სამზარეულოსაც ეცნობა: „ერთობ დახვეწილი კერძია საცივი – სუნელებიან ნიგვზის სოუსში, ანუ ბაჟეში ჩადებული მოხარშული ქათამი ან ინდაური. თავად ბაჟეს, წმინდად დაფქული ზაფრანას ფურცლების გამო, ნარინჯისფერი კარამელის ფერი დაჰკრავს. საცივს ძირითადად საზეიმო სუფრისთვის ამზადებენ. საცივის გაკეთება თუ იცი, სამზარეულოს დედოფალი ხარ!" – წერს იგი.

სანდრა ქებათა-ქებას უძღვნის ქართულ ენას, რომელიც უმალ შესანიშნავად შეისწავლა, ეუფლება ქართულ მელოდიებს, ახორციელებს მრავალ საქველმოქმედო პროექტს, ფრანგულ ენას ასწავლის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. წიგნში ოსტატურადაა აღწერილი საქართველოს უახლესი ისტორიის ეპიზოდები, ვარდების რევოლუცია და თავისი მეუღლის გვერდით დგომა, პრეზიდენტის ინაუგურაცია და პირველ ლედად გახდომა ქვეყნისა, რომლის შეყვარება უკვე მოასწრო.

მე ბედნიერება მქონდა ქალბატონი სანდრას გაცნობისა და, ახლა რომ ვუკითხულობ, ეს წიგნი სწორედ მას უნდა დაეწერა – თავმდაბალ, გულწრფელ ადამიანს, ქართულ კულტურაზე საათობით რომ შეუძლია საუბარი.

ერთხელაც, დედამისის, ქალბატონ მაგდალენა ვან დერ პულის ნამუშევრების გამოფენის გახსნისას საგამოფენო დარბაზ „კოპალაში" შევხვდი. სანდრას დედა ფერმწერია, გამოფენამ „კოპალაში" დიდი ინტერესი გამოიწვია. ნიჭიერმა ქალბატონმა თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი მისახსოვრა. საქმე ის არის, რომ სანდრას მშობლები – ქალბატონი მაგდალენა, ბატონი ედუარდი და მე, უკვე ვიცნობდით ერთმანეთს, ერთ პატარა სასტუმროში შემთხვევით შევხვდი ამ კეთილღიმილიან, სიძის სამშობლოზე გულწრფელად შეყვარებულ ადამიანებს. რა გასაკვირია: აქ ეგულებათ სათაყვანებელი ქალიშვილი,შვილიშვილები, სიძე, მოყვრები... როგორც მაშინ გამანდეს, ცოლ-ქმარი თბილისთან ახლოს პატარა მიწის შეძენას და შიგ სახლის ჩადგმას აპირებდნენ, უფრო ხშირად და უფრო ახლოს ვიქნებით ახლობლებთან, საქართველოსთან, ქართველებთანო...

ჰოდა, მართლაც აუშენებიათ ერთსართულიანი ფიცრული სახლი სოფელ კოჯორში, რაც უმალ სასახლედ მონათლა „ტელეიმედმა", თანაც, თურმე, განაშენიანების გეგმა „დაურღვევიათ", მწვანე ზოლში (სად არის არამწვანე ზოლი კოჯორში?) გადასულან ჰოლანდიელი მოყვრები. ვისმენდი ტელევიზიით მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილის ყოვლად დაუსაბუთებელ გამოსვლას და, როგორც, ალბათ, ბევრს საქართველოში, მეც ჩემი ქართველობისა მრცხვენოდა, თითქოს სილა გამაწნეს,თითქოს სტუმართმოყვრული ტრადიციები შემიგინეს, ოღონდ სააკაშვილის ოჯახის დისკრედიტაცია მოახდინოს და რა სიბინძურეს არ ჩაიდენს ზოგიერთი ჟურნალისტი და ტელეარხი! თქვე კაი ადამიანებო! „გიჟვრაცუა" ქართველებო! უძველესი დროიდან ხელოვნურად, ძალით მოყვრდებოდნენ ქვეყნები, რათა ურთიერთობები გაეღრმავებინათ, ჩვენ კი, თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნა თავისი მეუღლის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული რძალი, სიძის სამშობლოს ასერიგად დამფასებელი სიდედრ-სიმამრი... არ სჯობს, რომ გონივრულად გამოვიყენოთ ეს ურთიერთობები ევროპის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანასთან?! არა! ჩვენთან ხომ დღეს, სამწუხაროდ, ნიჰილიზმი, ბოღმა, ჯანდაბა და დოზანა სჭარბობს გონიერებას! რაც თბილისში უკანონო შენობები წამოიმართა ალბათ, თავი უნდა ჩამოეხრჩო დედაქალაქის ყოფილი მერის მოადგილეს! მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა „ივაჟკაცა" – პროტესტის ნიშნად გადადგა!

ვაი, ჩვენს პატრონს!

... საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. სანდრა, ამწუთას, პირველი ლედი აღარაა და გვერდით უდგას პრეზიდენტობის კანდიდატ თავის მეუღლეს. ხომ ნახეთ, რა შთაგონებით იგალობა მან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების ოცდაათ წლისთავზე სამების ტაძარში, რა ნიჭიერებით შეასრულა მეგრული სიმღერა მიშა სააკაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრისას სენაკში, დარწმუნებული ვარ, ამით კიდევ უფრო გაუზარდა მან რეიტინგი თავის მეუღლეს.

საოცარი ქართული სიტყვა – „მეუღლე" ხომ ასე სათუთი და საფერებელია ქართველების ჰოლანდიელი რძლისთვის.

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ქალბატონო სანდრა!

**თორნიკე კოპალეიშვილი.**





**სურათებზე: წიგნის გარეკანი; მარცხნიდან მარჯვნივ: მზია ბებია,სანდრას დედა კალთაში ედუარდით, დედამთილი გიული და სანდრა შინ; ტერნეზენში, დედასთან და მამასთან ერთად.**

№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

● წლეულს ქართველ ერს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი უნდა აღენიშნა – დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების – 170, ხოლო მკვლელობიდან 100 წლისთავი. სამწუხაროდ, ეს თარიღები მხოლოდ ვიწრო წრეებში აღინიშნა



SIC!

# ილიას გახსენება დაგვავიწყდა



**წლეულს ქართველ ერს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი უნდა აღენიშნა — დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების — 170, ხოლო მკვლელობიდან 100 წლისთავი.**

**სამწუხაროდ, ეს თარიღები მხოლოდ ვიწრო წრეებში აღინიშნა. ოპოზიციამ ილიას დაბადების დღის აღნიშვნა ძველი თარიღით — 28 აგვისტოს ისურვა და სწორედ ამ დროს მიილო „საგურამოს მანიფესტი“. 12 სექტემბერს (ახალი სტილითძ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიტანა თაიგული ილიას ძეგლთან. ასევე რამდენიმე საზოგადო მოღვაწემ გაიხსენა ეს დღე და ყველამ თავისებურად მიაგო პატივი. რაც შეეხება ილიას მკვლელობის დღეს, 12 სექტემბერს — თითქმის არავის გახსენებია. საზოგადოების დიდი ხნის სურვილია, რომ 12 სექტემბერი იყოს ილიას ხსენების დღე და ამასთანავე, ეს თარიღი იქცეს ქართველი ერისათვის მონანიების, ფიქრისა და განსჯის დღედ.**

**აკაკი იგონებდა: „მახსოვს, ჩემს ბავშვობაში გელათიდან ოქრომჭედლური ნაკეთობები რომ მოიპარეს. მთელი დასავლეთ საქართველო ფეხზე დადგა: შავები ჩაიცვეს და ფეხშიშველა მიემართებოდნენ გელათისაკენ“.**

**მაშინ, როცა ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს ზნეობრიობისა და პასუხისმგებლობის ასეთი მაღალი გრძნობა ჰქონდა, უმადურობაა წარსულის დავიწყება, სირცხვილია ილიას არგახსენება.**

**ნია ფიფია.**

ქართველები საზღვარგარეთ

# თბილისიდან ველინგტონში, მოსკოვის, ედინბურგისა და სიდნეის გავლით



**ბოლო ათწლეულებში ჩვენი მათემატიკოსები მართლაც რომ მაგრად „შეესივნენ“ მსოფლიო რუკას და სადაა, რომელ განედსა თუ გრძედზეა, რომ არ ეწევიან ინტენსიურ, ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ და „ლექტორულ“ საქმიანობას, თანაც ყველგან მაღალი ავტორიტეტის მოპოვებით.** რუსეთი გვიან გვექცა უცხოეთად, თორემ ქართველ სწავლულთათვის საბჭოურ ხანაშივე იყო ფართო სარბიელი და დარჩა კიდევაც... ახლა ევროპა, ახლა შეერთებული შტატები? გამორჩეულად საგულისყურო ისაა, რომ ქართველი სპეციალისტები ახალ-ახალ „მიწებს“ ითვისებენ გლობუსზედა, „ეგზოტიკურ“ ქვეყნებშიც შეაღწიეს — კანადაში, მექსიკაში, შოტლანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში...

ქართველი მათემატიკოსი და ახალი ზელანდია — დამეთანხმებით, ხელასაქავებელი (თუ გნებავთ, კალამსაქავებელიძ თემაა. ესტატე ხმალაძე, როგორც ჩანს, პირველი მეცნიერია, ვინც საქართველოდან დედამიწის უკიდურეს სამხრეთ ქვეყანაში „გაჭრა სარკმელი“.

„ვენი, ვიდი, ვიცი“ („მივედი, ვნახე, ვძლიე“ძ — შეუთვალა სენატს იულიუს კეისარმა, პონტოს მეფეზე გამარჯვებულმა. „ჩავედი, წავიკითხე, გამოვეცი, დავწერე“ — ასე შეუძლია ბატონ ესტატეს მშობლიურ თბილისში წლევანდელი საშვებულებო ჩამოსვლის რეზიუმირება, რაც განვრცობილად ასე გამოიყურება: წაიკითხა ლექციების სპეციალური კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში; გამოსცა ჩინებული ნაშრომი „რვა ლექცია მათემატიკურ დემოგრაფიასა და სიცოცხლის დაზღვევაში“; დააწესა „ე. ხმალაძის სტიპენდია“ (მათემატიკის ან ფიზიკის სპეციალობებიდან მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტებისათვის 3 წლის ვადით, წელიწადში 10 თვით და თვეში 100 დოლარის ოდენობითძ.




აბა, რომელი ჟურნალისტი არ მოიწადინებდა ასეთ ნანატრ რესპონდენტთან საუბარს, მაგრამ რომ „გამასწრო“ თბილისიდან!.. სამაგიეროდ, მისი მეუღლე მზია ვეკუა-ხმალაძისა და 14 წლის გოგონა მარიამი დარჩნენ ერთხანს და მე მომეცა ქალბატონ მზიასთან შეხვედრის შესაძლებლობა. ქვემოთ ჩვენი საუბრის შინაარსია გადმოცემული.

ველინგტონში 2002 წლის გაზაფხულზე გადასახლებულან ავსტრალიიდან, სიდნეიდან, სადაც ესტატე 6 წელი (1996-2002ძ მოღვაწეობდა ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში. კიდევ უფრო ადრე ცოლ-ქმარმა ერთი წელი (1992-1993ძ შოტლანდიაში, ედინბურგში დაჰყო, რომლის უნივერსიტეტმა ქართველი მათემატიკოსი ერთწლიანი ვადით მიიწვია (ეს გახლდათ ესტატეს პირველი გრძელვადიანი საზღვარგარეთული მივლინებაძ. სხვათა შორის, ქალიშვილი იქ შეეძინათ, ასე რომ მარიამი „წარმოშობით“ შოტლანდიელია.

ახალ ზელანდიაზე რას იტყვის? ტერიტორიულად საქართველოზე დიდია, მოსახლეობით ოთხმილიონიანია. ეს არის ფრიად მოწესრიგებული ქვეყანა, — სისუფთავით დაწყებული, ყველაფრიანა, ერთობ მშრომელი ხალხით, რომელმაც დაუღალავი გარჯით მიაღწია ცხოვრების ღირსეულ დონეს და თვალისჩინივით უფრთხილდება კიდევაც თავის ღირსებას.

სიძვირე როგორ არ არის, გადასახადებიც მაღალია, მაგრამ სოციალური დაცვის სფერო ისეთი მოფიქრებული და გამართულია (რასაც, რა თქმა უნდა, დახვეწილი სასამართლო სისტემაც უწყობს ხელსძ, რომ დიდი ხელფასების გათვალისწინებით ყოფითი ამბები საფიქრებელ-საზრუნავი სულაც არ გვჩვენებათ.

ეზოიანი ბინა ბანკის სესხით (25-წლიანი დაფარვითძ შეიძინეს. ჰყავთ ავტომობილი „მიცუბიში“, რომელსაც ესტატე მართავს და 20 წუთში ფარავს სახლიდან უნივერსიტეტამდე მანძილს.

ველინგტონი? მდებარეობს ველინგტონის ყურეში, რომელიც კუნძულის სრუტეს უერთდება. ქარიანი ქალაქია, თბილისივით ბორცვებზეა გაშენებული, თბილისზე, ოდნავ თბილი კლიმატით. ველინგტონში აქვთ საოპერო თეატრი, ძალიან საინტერესო კულტურული ცხოვრებით ცხოვრობენ, ყოველწლიურად მართავენ კინოფესტივალებს. წლეულს იქ გელა ბაბლუანის ფილმი „ცამეტი“ უჩვენებიათ.

კიდევ რომელიმე „ქართულ მომენტს“ თუ გაიხსენებს? 2002-ში ველინგტონში ახალი ჩასულები რომ იყვნენ, ინგლისურ გაზეთში უნახავს ცნობა ქართველ მოცეკვავეთა დასის კონცერტის თაობაზე. წასულან კიდევაც, მაგრამ დარბაზში თანამემამულეთაგან ვერავინ მოუნიშნავთ. მას მერე საგასტროლოდ არავინ აღარ ჩასულა. ერთხელ მაღაზიაში „წინანდალი“ შეხვედრიათ, მშვენიერი ღვინო გამომდგარა, მაგრამ იმავე სუპერმარკეტში სხვა ქართული ღვინო (წითელიძ დაუწუნიათ და აღარ შემოაქვთ.

ენობრივი ამბები? სამივემ, მშობლიურთან ერთად, სუფთად იცის, ინგლისური და რუსული. „დამატებით“ მარიამი ნამდვილ პოლიგლოტად იზრდება: სწავლობს გერმანულს, სკოლაში იაპონურის ათვისება დაიწყო.

რა სკოლაა? რუდოლფ შტაინერის სკოლა ჰქვია, ფართოპლანიანია, სხვათა და სხვათა შორის ასწავლიან მუსიკას, კერძოდ, ვიოლინოზე დაკვრასაც, ხელგარჯილობასაც. სამ წელიწადში ერთხელ რომ ნახევარი წლით თბილისში ჩამოდიან შვებულებით, მარიამი აქ ვალდორფის სკოლაში დადის, იმავე სისტემისა, რაც შტაინერისა, ძალიან კარგი სკოლაა.

თვითონ მზია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ყოფილა. ბოლო ორი წელი ველინგტონში პედაგოგობს, ასწავლის მარია მონტესორის სკოლაში (დაწყებით სწავლებაზე აქცენტითძ, რომლის ძალი მთელ მსოფლიოშია მოდებული. შინ ამზადებს ქართულ კერძებს, მით უფრო, რომ გოგონას უყვარს ლომი, მჭადი, ყველანაირი ქართული საჭმელი.

სამშობლოს მონატრება? ნოსტალგია? უამისოდ იქ როგორ იცხოვრებ, მაგრამ პირდაპირმა კავშირმა, მობილურმა, ინტერნეტმა განცდები შეანელა.

მზია ფიქრობს, რომ ქმარი ერთადერთი არა მხოლოდ მათემატიკოსი, საერთოდ ქართველი მეცნიერია მარტო ველინგტონში კი არა, მთელ ახალ ზელანდიაში. ოკლენდში, სადაც ესტატეს მოუწია გამოსვლა, ყოფილან ქართველი სტუდენტები. ოკლენდზე გაცილებით შორსაც უხდება ხოლმე გამგზავრება, განაგრძობს „მომთაბარე“ მათემატიკურ ცხოვრებას, რამდენადაც მას, როგორც საერთაშორისო პრესტიჟის სპეციალისტს, იწვევენ აშშ-ში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ინდოეთში...

კიდევ რა? აქ მზიას ფიქრი ისევ მეუღლეს მისწვდა და მონათხრობი რამდენიმე შტრიხით შეავსო.

საზღვარგარეთ როცა უცხოელს იწვევენ, რაღაც ვადით სააპრობაციო მონაკვეთს გაატარებენ და საშტატო გაფორმება მერე მიდის. ამ ფოტოზე ესტატე სწორედ საპროფესორო-საინაუგურაციო ლექციას კითხულობს, მაჩვენებს.

როგორც მკვლევარი, ის თავს უნიჭიერესი კაცის, აწ განსვენებული ამირან ტორონჯაძის მოწაფედ თვლის. 2005 წელს რომ მასწავლებლის გარდაცვალების ამბავი მიუვიდა ველინგტონში, ვიქტორიელ მათემატიკოსებთან მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მოხსენება წაიკითხა ცხოვრებისა და ღვაწლის გაცნობით (მოწაფისაგან მასწავლებლის სახელის პატივგების შესანიშნავი მაგალითია).

აქ მთავრდება მზიასთან საუბარი...

კიდევ რამდენიმე ცნობა ესტატე ხმალაძეზე. ის დაიბადა თბილისში, 1944 წელს. 1966-ში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასპირანტურის კურსი მოსკოვში გაიარა და სადოქტორო დისერტაციაც იქ დაიცვა. 1970-1990 წლებში სამეცნიერო მუშაობას ორ ცენტრში ეწეოდა — მოსკოვის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

ესტატე ხმალაძის სამეცნიერო ინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებით ამოცანებზე მოდის, რაც მკაფიოდ გამოჩნდა წლევანდელ წიგნში „რვა ლექცია მათემატიკურ დემოგრაფიასა და სიცოცხლის დაზღვევაში“.

ნაშრომის თანამედროვე დონეზეა გადმოცემული მოკვდავობისა (ანუ სიკვდილიანობისძ და სიცოცხლის ხანგრძლივობის ალბათური მოდელირებისა და ამგვარი მოდელების სტატისტიკური შემოწმების მეთოდები. სპეციალისტთა აზრით, ავტორმა ოსტატურად (ესტატურად!ძ გადმოსცა გემოვნებით შერჩეული მათემატიკური დემოგრაფიისა და სიცოცხლის დაზღვევის საკითხები და ნათლად აჩვენა მათემატიკური სტატისტიკის თანამედროვე, დახვეწილი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები.

„წინამდებარე ლექციების მოკლე კურსი შეადგენს მთლიანი გეგმის მხოლოდ ერთ მესამედ ნაწილს. მეტნაკლებად მზად არის ლექციები კიდევ ორი მიმართულებით — პოპულაციის დინამიკაში და სადაზღვევო პორტფელების თეორიაში. თუ ეს მოკლე კურსი სასარგებლოდ ჩაითვლება, ჩვენ შევეცდებით დანარჩენი ორის მომზადებასაც საქართველოში გამოსაცემად“, — აღნიშნავს ესტატე ხმალაძე შესავალში.

**...ჩემი სტუდენტობის დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის ალექსანდრე ხინჩინის მომცრო წიგნი „რვა ლექცია მათემატიკურ ანალიზში“. ასეთივე ბედი ვუსურვოთ ქართველი მათემატიკოსის რვა ლექციასაც...**

**თამაზ ებანოიძე**

№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

**პატარკაციშვილმა ძალაში დატოვა დაპირება სოციალური თვალსაზრისით დაეხმაროს საქართველოს მოსახლეობას, თუ არჩევნებში გაიმარჯვებს ოპოზიცია**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ოპოზიცია სააკაშვილის სინდისს ეძებს

აშკარაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე დღეიდან მხოლოდ ექვსი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. სკანდალში გახვეულმა ოლიგარქმა ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს. თავის განცხადებაში პატარკაციშვილმა დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება, აგრეთვე განმარტა, თუ რით განსხვავდება მისი ფული სააკაშვილის ფულისგან. ახლა თვით ოლიგარქიც და მთელი დანარჩენი ოპოზიციაც ელოდებიან, როდის გაიღვიძებს სააკაშვილის სინდისი.

მოქმედების ტაქტიკის, მათ შორის საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობაზე შესაძლებელი უარის თქმის საკითხის განსახილველად ხუთშაბათს ლონდონში გაემგზავრა პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი გიორგი ჟვანია – საიდუმლო ვითარებაში დაღუპული ექს-პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმა. „მე მინდოდა ფული გადამეხადა, რათა ხელისუფლებას არ ესროლა ხალხისთვის. ისინი კი ფულს იხდიდნენ ჩემი ლიკვიდაციისთვის". სტიმული გახდა „იმედის" ჟურნალისტთა პოზიცია, რომლებმაც 26 დეკემბერს დროებით შეწყვიტეს მაუწყებლობა ხელისუფლების მხრივ ტერორისა და პატარკაციშვილის გარშემო ატეხილი იმ ხმაურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც უკავშირდება ოლიგარქსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკს შორის ცნობილი საუბრის ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებას, აგრეთვე იმის გამო, რომ 27 დეკემბერს გაერთიანებულმა ოპოზიციამ ბიზნესმენსა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდა უარი ეთქვათ „ბირჟურ თამაშზე", კომპრომატების ომზე. სააკაშვილმა ყურადღება არ მიაქცია ამ მოწოდებას. პატარკაციშვილმა კი გაავრცელა განცხადება: „დღეს ოპოზიციის ლიდერებმა ფაქტიურად გვთხოვეს მე და სააკაშვილს უარი გვეთქვა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, მე მზად ვარ მივიღო მათი მოწოდება. სააკაშვილისგან განსხვავებით, მე არ ვესწრაფვი ხელისუფლებას. ჩემი ერთადერთი მიზანია საქართველოს აღორძინება, რაც შეუძლებელია ახლანდელი დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში. ჩემთვის, როგორც ბიზნესმენისთვის სავსებით მისაღებია ფულის გადახდა იმისთვის, რომ ხელისუფლებამ არ ესროლოს ხალხს. მაგრამ გაუგებარია, რა კანონებითაა დასაშვები ფული გადაიხადო საკუთარი კონკურენტის ფიზიკური ლიკვიდაციისთვის, რაც ჩემთან დაკავშირებით გადაწყვიტა ხელისუფლებამ. მისი თქმით, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს გახდეს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელი, უნდა ჰქონდეს სუფთა რეპუტაცია. ამიტომაც მზად ვარ შევწყვიტო საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა და განცხადებით მივმართო ცესკოს ამის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი დემოკრატიული ხელისუფლება შეძლებს სამართლებრივი შეფასება მისცეს როგორც ჩემს ქმედებას, ასევე მათ ქმედებასაც, ვინც ცდილობდა ჩეჩენი ტერორისტების დახმარებით მოვეკალი და ვინც ხელი შეუწყო ჩემს ქვეყანაში ტერორის გაჩაღებას.

ამასთან პატარკაციშვილმა ძალაში დატოვა დაპირება სოციალური თვალსაზრისით დაეხმაროს საქართველოს მოსახლეობას, თუ არჩევნებში გაიმარჯვებს ოპოზიცია. ბიზნესმენის შტაბში გაზეთ „ვზგლიადს" განუმარტეს, რომ პატარკაციშვილი თავის კანდიდატურას ხსნის ოპოზიციისა და არა რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ. „ეს გმირული გადაწყვეტილებაა, ასე განმარტა არჩევნებში მონაწილეობაზე პატარკაციშვილის უარი დეპუტატმა ჯოჯუამ". – თუ სააკაშვილს სინდისის ნატამალი შერჩენია, თვითონაც უნდა მოხსნას თავისი კანდიდატურა.

ხუთშაბათს დღის პირველ ნახევარში გაერთიანებული ოპოზიციისგან პრეზიდენტობის კანდიდატმა დეპუტატმა ლევან გაჩეჩილაძემ საერთაშორისო გაერთიანებას სთხოვა, გამოიძიოს ბინძური თამაშები, რომელთაც ეწევიან სააკაშვილი და პატარკაციშვილი. ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ ეს „ბინძური თამაშები მიმართულია საქართველოს წინააღმდეგ". მისი თქმით, ამ თამაშების მიზანია დაასამარონ არჩევნები, სახელი გაუტეხონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დახურონ ტელეკომპანია „იმედი".

ერთი სიტყვით, ამ თამაშების მიზანია „დაასრულონ" საქართველო, რასაც ჩვენ არ შევურიგდებით", – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. ხუთშაბათ საღამოს მთავრობის მომხრე ტელეკომპანიების „რუსთავი-2"-ის და „მზის" სიუჟეტები მიზნად ისახავდნენ, ეჩვენებინათ პატარკაციშვილისა და გაერთიანებული ოპოზიციის კავშირები, ოპოზიციისა, რომელიც დაინტერესებულია ოლიგარქის საფინანსო ინექციებით. ამან გამოიწვია ის, რომ გაჩეჩილაძემ საჯაროდ მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული არხები და მათი კორესპონდენტები შეადარა პროკურატურის მუშაკებს. პრეზიდენტობის სხვა კანდიდატმა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ხუთშაბათს ევროპის საბჭოს მოუწოდა დაიყოლიოს სააკაშვილი უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე, რათა არ მოხდეს სამოქალაქო დაპირისპირება.

როგორც შალვა ნათელაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, სააკაშვილი აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას და შეიძლება რეპრესიებს მოახმაროს მთელი ადმინისტრაციული რესურსი. მისი თქმით, თუ ქვეყანაში მალე არ ჩამოვლენ ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები და „ტერორისტსა და დიქტატორ" სააკაშვილს არ დაიყოლიებენ უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე, ეს გამოიწვევს მასშტაბურ სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც მთელ რეგიონს შეეხება.

გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატმა გიორგი თორთლაძემ გაზეთ „ვზგლიადს" განუცხადა, რომ „პატარკაციშვილს უფრო ადრე უნდა მოეხსნა თავისი კანდიდატურა და არ დალოდებოდა საზოგადოების ნეგატიურ რეაქციას". რაც შეგვეხება ჩვენ, ვიმედოვნებთ, რომ გვერგება პატარკაციშვილისთვის წინათ განკუთვნილი ხმები. გაერთიანებულ ოპოზიციაში ირწმუნებიან, რომ ოლიგარქისგან ფული არ მიუღიათ.

**დიმიტრი ალექსანდროვი**

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА



# რევოლუციამდე ერთი ნაბიჯიდა იყო

ნოემბერში თბილისის ქუჩები ფანტასტიკური ბოევიკების კადრებს მოგაგონებდათ.

ნოემბერს თბილისში სპეცდანიშნულების რაზმი სასტიკად გაუსწორდა ოპოზიციას. 2 ნოემბრიდან დაწყებული საქართველოს დედაქალაქს სამიტინგო სტიქია დაეუფლა. ხელისუფლებისთვის მოულოდნელად გაერთიანებული ოპოზიციის მოწოდებით ქუჩაში გამოვიდნენ არა მარტო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რევოლუციურ-ვარდისფერი იდეების მიმართ გულგატეხილი თბილისელები – დედაქალაქისკენ მიმავალი ყველა გზა იმ დღეებში სავსე იყო ავტობუსების კოლონებით, რომლებსაც რეგიონებიდან მოჰყავდათ უკმაყოფილო ადამიანთა სულ ახალ-ახალი ათასები. რუსთაველის პროსპექტზე მოგუგუნე ლოზუნგები დღითიდღე უფრო მკაცრი ხდებოდა: მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილისადმი, გაეუქმებინა მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულიდან შემოდგომაზე გადატანის გადაწყვეტილება შეცვალა მძლავრმა შეძახილებმა „წადი!". კიდევ ერთი ნაბიჯი, კიდევ ერთი დღე ასეთი მკაცრი დაპირისპირებისა და საქართველოში ახალი რევოლუცია მოხდებოდა.



ოპოზიციამ ეს ნაბიჯი არ გადადგა – შესაძლოა, ვერ მოასწრო, სავარაუდოა ისიც, რომ ვერ გაბედა. სააკაშვილმა დაასწრო და 7 ნოემბერს დილით მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყვანა მისი ერთგული და როგორც აღმოჩნდა, ჩინებულად განსწავლული სპეცდანიშნულების რაზმი. ასეთი რბევა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ არ ყოფილა. მაგრამ მაშინ ანტისაბჭოთა მიტინგს იმავე რუსთაველის პროსპექტზე სასანგრე ნიჩბებითა და „ჩერიომუხით" აღჭურვილი არბევდა. სააკაშვილმა 2007 წლის ნოემბერში ფაქტიურად იგივე სცენარი გაიმეორა. მომიტინგეთა რბევა ბრანდსპოიტების, ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების გამოყენებით ქალაქის სხვადასხვა კუთხეში გვიან ღამემდე გაგრძელდა და დამთავრდა ოპოზიციური ტელეარხის „იმედის" დარბევით, რომელიც პირდაპირ ეთერში გადასცემდა და მთელ მსოფლიოს აუწყებდა ამ ექვსდღიანი „ნერვების ომის" სურათებს. მაგრამ კრიზისის შეჩერება ვერ მოხერხდა. თუმცა სააკაშვილმა სიტუაციის შესაცვლელად უკიდურეს ზომებს მიმართა – ჯერ იყო და მთელ ქვეყანაში გამოაცხადა საგანგებო წესები, შემდეგ 5 იანვრისთვის დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც გეგმის თანახმად მომავალ შემოდგომას უნდა გამართულიყო, შემდეგ კი, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს, გადადგა. ნოემბრის დამლევს ის გახდა პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ ერთ-ერთი კანდიდატთაგანი. რა თქმა უნდა, ის იმედოვნებს, რომ გაიმარჯვებს იანვრის არჩევნებზე. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, საქართველომ, რომელიც ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა ნოემბრის შოკის შემდეგ, მას არ აპატიოს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА



# ოლიგარქი პრეზიდენტი არ გახდება

5 იანვრის არჩევნებზე საქართველოს პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლის მონაწილეთა შორის ყველაზე მდიდარი 52 წლის არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის გარშემო ატეხილი სკანდალი გუშინ დამთავრდა იმით, რომ ოლიგარქმა მოხსნა თავისი კანდიდატურა. ამასთან მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფალნი შეეცადნენ მის ლიკვიდაციას და ჩეჩენ ტერორისტებსაც კი მოელაპარაკნენ ამ მიზნით. ამ დღეებში ბატონ პატარკაციშვილის შტაბმა გამოაქვეყნა ამის შესახებ საველე მეთაურის უვაის ახმადოვის აღიარება.

გუშინ ოლიგარქმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა მასაც და მიხეილ სააკაშვილსაც მოუწოდეს უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე, რათა ქვეყანა არ აღმოჩნდეს გათიშულობის ზღვარზე. „მე არ მაწუხებს პოლიტიკური ამბიციები. სააკაშვილისგან განსხვავებით მე არ ვისწრაფვი ხელისუფლებისკენ",– თქვა პატარკაციშვილმა. გამორიცხული არ არის, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბიზნესმენი თავის პარტიასთან ერთად დაბრუნდეს პოლიტიკაში.

ამასთან ბადრი პატარკაციშვილი საკმაოდ პოპულარულ პოლიტიკოსად რჩება. გუშინწინ დილით გამოქვეყნდა გამოკითხვის მონაცემები, რომელიც არჩევნების წინ მოაწყო ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. ამ გამოკითხვის თანახმად ხმების 55 პროცენტი მიიღო გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატმა ლევან გაჩეჩილაძემ, 19 პროცენტი – მიხეილ სააკაშვილმა, 15 პროცენტი – ბადრი პატარკაციშვილმა (სულ ბიზნემენის შემადგენლობით კენჭს იყრიდა 7 პრეტენდენტი).

ბადრისთვის მისაცემი პოტენციური ხმები ნაწილობრივ ჩვენ დაგვრჩება, ნაწილობრივ კი – სააკაშვილს, რომელიც პატარკაციშვილისა არ იყოს, კამპანიას სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების ქადაგების გზით წარმართავდა, – განუცხადა „ვრემია ნოვოსტეის" რედაქციას რესპუბლიკელმა დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ, რომელიც გაერთიანებულ ოპოზიციაში შედის. ყველაზე უფრო სავალალო შედეგი ამ ამბებისა ის არის, რომ მუშაობა შეაჩერა ტელეკომპანია „იმედმა" (კოლექტივმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლების ზეწოლის, აგრეთვე კომპანიის ფაქტიური მფლობელის – პატარკაციშვილის გარშემო ატეხილი სკანდალის გამო, – რედ.ძ მთლიანად საქართველოში საარჩევნო კამპანია უპრეცედენტოა ჭუჭყისა და ხალხზე ხელისუფლების ზეწოლის დონის თვალსაზრისით.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

● ამ ფონზე, საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, რომ იტყვიან, „ასი თვალი და ასი ყური“ უნდა ჰქონდეს



## ინფორმაცია

### ბაგები განათდა

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი ბაგების სტუდქალაქში მდებარე დევნილთა კომპაქტურ ობიექტს ეწვია და მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

აღნიშნულ ობიექტს თვეების განმავლობაში არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია და მწყობრიდან იყო გამოსული შიდა კომუნიკაციები.

მინისტრის კობა სუბელიანის განცხადებით, დასრულებულია გარეგანათებების სამუშაოები და მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

– ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ წინა შეხვედრისას დაგეგმილი სამუშაოები, მოკლე დროის მიუხედავად, შესრულებულია. გაგრძელდება შიდა ქსელების მოწესრიგება და ინდივიდუალური გამრიცხველიანობის პროცესი“, – განაცხადა კობა სუბელიანმა.

დევნილებმა მინისტრს მადლობა გადაუხადეს გაწეული დახმარებისა და დანაპირების შესრულებისთვის.

### ფოთელი პოლიციელები თვითნებობენ

სახალხო დამცველი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებს უკანონობაში ადანაშაულებს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, პოლიციელთა ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

მათივე ინფორმაციით, ფოთის პოლიციის თანამშრომლებმა გადაამეტეს იტყობინებიან, თავად მოინდომეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და აუცილებელი ოფიციალური საბუთების გარეშე იური ჩაჩავას საცხოვრებელი სახლიდან მისი ოჯახი გამოასახლეს.

სახალხო დამცველის აპარატის განმარტებით, იური ჩაჩავას სახლი 1991 წელს ფოთში მილიციის სამმართველოს შენობაში მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა. დაზარალებული ოჯახი ფოთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ოროთახიან საცხოვრებელ სახლში შეასახლეს. აღნიშნული სახლის მესაკუთრის დასადგენად წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავა. სასამართლო პროცესებში ერთ-ერთ მხარეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენდა. 2007 წლის 15 ივნისს ფოთის პოლიციის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორმა და ამავე სამმართველოს პოლიციის ინსპექტორებმა ჩაჩავები საცხოვრებელი ბინიდან გამოასახლეს. გამოსახლებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ფოთის პოლიციის სამმართველო არ იყო უფლებამოსილი, გამოესახლებინა ჩაჩავას ოჯახი საცხოვრებელი ბინიდან და ვალდებული იყო შეეწყვიტა თავდაცვის სამინისტროს განცხადების განხილვა.

ინტერპრესნიუსი

## გაუტიეს!

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

# ულტიმატუმი მიცვალებულთათვის

„აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სულ ახალ-ახალ და გამაღიზიანებელ საბაბს ეძებს იმისათვის, რომ პროვოცირება გაუკეთოს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას რადიკალური ქმედებების წამოწყებისათვის. სხვა შეფასებას ვერ მივცემთ აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრების (სეპარატისტთა პარლამენტის) მიერ მ. წ. 25 დეკემბერს მათივე ადრე მიღებულ კანონში „დაკრძალვისა და სარიტუალო საქმეთა შესახებ“ შეტანილ ცვლილებებს, რაც ითვალისწინებს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაკრძალვის მიზნით საზღვარგარეთის მოქალაქეთა და აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე სხვა პირთა ნეშტების შემოტანის აკრძალვას.

ცხადია, ასეთ პირებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი მკვიდრი, სხვადასხვა ეროვნების ასი ათასობით მოქალაქე, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში წაერთმევათ უზენაესი უფლება – მათი წინაპრების საოჯახო აკლდამების მოვლისა და სარწმუნოებისამებრ გამოყენების უფლება. ამით სეპარატისტები, გასაგებია ვისი წაქეზებითაც, შეეხნენ კავკასიელებისთვის, განსაკუთრებით კი ქართველებისთვის, ძალიან ფაქიზ, მგრძნობიარე და უკიდურესად ფეთქებადსაშიშ ფენომენს. თუ ისინი დაუყოვნებლივ არ იტყვიან უარს აღნიშნული თემატიკის პოლიტიკურ კონტექსტში პროვოკაციულ განხილვაზე, გარდაუვალია კონფლიქტის ზონაში არსებული ისედაც დაძაბული სიტუაციის კრიტიკულ ზღვრამდე გამწვავება, ხოლო პასუხისმგებლობა მოსალოდნელ შედეგებზე მთლიანად დაეკისრებათ ამ ე. წ. კანონპროექტის უზნეო ავტორებს“ – განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თ. ხუბუამ.

## ჩვენ და გარესამყარო

# სამი „ვეშაპი“, აპოკალიფსური ტალღები და... პატარა ხომალდი

*მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ვნებათაღელვამ წლის დამლევს ლამის „დუღილის“ ტემპერატურას მიაღწია, თუმცა პიკს, ცხადია, 5 იანვრისთვის უნდა ველოდოთ. პრეზიდენტობის კანდიდატთა უმეტესობის ზოგიერთი წინასაარჩევნო დაპირების ერთგვარი მსგავსება (განსხვავებები, ვფიქრობთ, იმდენად არაარსებითია, რომ თავისუფლად შეიძლება მათი უგულებელყოფაძ სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა კვლავაც ორ ბანაკად არ არის დაყოფილი, როგორც ეს ჩვენი უახლესი ისტორიის ბოლო პერიოდში რამდენჯერმე განმეორდა. უხეშად რომ დავანაწილოთ, ამომრჩეველთა ერთი ნაწილი ახლანდელი ხელისუფლების, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის მომხრეა, მეორე კი – პრეზიდენტობის კანდიდატებისადმი პიროვნული სიმპათია-ანტიპათიების მიუხედავად, – გაერთიანებული თუ გათითოკაცებული ოპოზიციის მხარესაა.*

ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული მკვეთრად ნეგატიური სოციალური ფონის მიუხედავად, რომელიც, როგორც ჩანს, ახლა უკვე საკმაოდ უმართავი ინფლაციის ფონზე კიდევ უფრო მძიმდება. პრეზიდენტის სავარძლისთვის, ასე ვთქვათ, მოკლევადიან მარათონში ჩაბმული პოლიტიკოსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხია. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ამ პრობლემას საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დიდ ყურადღებას უთმობს მიხეილ სააკაშვილი.

ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა, ვინც უნდა იყოს იგი, საკითხის გადაჭრის გარკვეულწილად ახალი გზები უნდა ეძიოს, ვინაიდან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები სულაც არ არის ვაშინგტონში, რასაც, გნებავთ, თუნდაც რუსეთის საგარეო უწყების თავკაცის სერგეი ლავროვის ბოლოდროინდელი განცხადებაც მოწმობს, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს მხარეები მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერის წყალობით ახერხებენ არსებობას.

ამდენად, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების იმედად ყოფნა რამდენად მომგებიანია საქართველოსთვის, ნამდვილად ძნელი სათქმელია, თუნდაც იმიტომ, რომ გაისად იქ, ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვილაც სხვა იქნება და არა ჯორჯ ბუში. ახალ პრეზიდენტს კი მეტად რთულ საგარეო ვითარებასთან ექნება საქმე, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწევს რუსეთისა და ჩინეთის გამკლავება, რომლებიც ბოლო დროს მეტად აგრესიულად იწვევენ დასავლურ ლიბერალურ დემოკრატებს. ამ მხრივ, საგულისხმოა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გახმაურებული წიგნის „ისტორიის დასასრული და ბოლო ადამიანის“ ავტორის ფრენსის ფუკუიამას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, როგორც ჩანს, 2007 წლის მიწურულისთვის, რუსეთიც და ჩინეთიც საკმაოდ კარგად ცხოვრობენ, თუმცა არა თუ არ მისდევენ ლიბერალურ დასავლურ დემოკრატიას, არამედ ამრეზითაც კი უცქერენ. მას. კერძოდ, იმის მაგივრად, რომ დემოკრატიისადმი მზარდი სიმპათიები ჰქონდეთ, რუსეთელები სულ უფრო მეტად სცილდებიან მას. კერძოდ, ერთ-ერთი ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის დროს რუსეთელთა მხოლოდ ოცმა პროცენტმა აღნიშნა, რომ უპირატესობას დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკას ანიჭებს.

როგორც ჩანს, დემოკრატიისადმი, როგორც ასეთისადმი ერების ლტოლვა, ბოლო დროს მაინც, უკანა პლანზე იხევს ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებთან შედარებით, როგორებიცაა უსაფრთხოება და კეთილდღეობა. საგულისხმოა ასევე დოლარის კურსის ბოლოდროინდელი უპრეცედენტო დაცემა, რაც, გარკვეულწილად, ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მოქმედებებითაა განპირობებული, რომლებმაც მის მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მასშტაბს გადააჭარბა და ქვეყანას უკვე 600 მილიარდი დაუჯდა (აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლის აზრით, ახლო მომავალში ეს თანხა ტრილიონ დოლარს (!ძ მიაღწევსძ. მართალია, ამჯერად ამერიკელები ერაყში ომზე მთლიანი შიდა პროდუქტის (რომელიც 13.247 მილიარდ დოლარს შეადგენსძ მხოლოდ დაახლოებით ერთ პროცენტს ხარჯავენ, მაგრამ ამერიკელი პოლიტოლოგის ჰენრი პოტერის აზრით, ყოველივე ეს, რასაც იგი „საკრედიტო ბარათების ომს“ უწოდებს, ამერიკის წინააღმდეგ საგულდაგულოდ გათვლილი სცენარის ჩარჩოებშია მოქცეული და რომელსაც მისი მთავარი მოწინააღმდეგე აფინანსებს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ჩინეთი განუხრელად აფართოებს თავის გავლენას მთელ მსოფლიოში, 17 პროცენტით ზრდის თავდაცვის ბიუჯეტს, ანტითანამგზავრული რაკეტით აგდებს საკუთარ მეტეოროლოგიურ თანამგზავრს და, ჰენრი პოტერის თქმით, დასავლეთის მთავრობებსა და ფირმებზე მასობრივ კომპიუტერულ შეტევას აწყობს: მისი მონაცემებით, დაფიქსირებულია 37 ათასი (!ძ ასეთი შემთხვევა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ, როგორც ჰენრი პოტერი აღნიშნავს, „ჩინეთის ახალი საკუპუნის პროექტი“ კარგა ხანია დაუბრკოლებლად ხორციელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინელები საოცრად გონივრულად მოქმედებენ, თუმცა სულაც არ ცდილობენ ძალსიმიერი მეთოდების გამოყენებას.

ჩინეთისგან განსხვავებით სხვაგვარად მოქმედებს რუსეთი, რომელიც ხან საკუთარ დროშას აღმართავს ჩრდილოეთ პოლუსზე, ხანაც მოცულობით-დეტონატორულ ბომბს (ანუ ვაკუუმისძ ბომბს ცდის და ა. შ. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თავად რუსეთში, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე სამჯერ გაიზარდა (!ძ, ხალხი ყოველივეს მეტად პოზიტიურად აღიქვამს.

ამ ფონზე, საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, რომ იტყვიან, „ასი თვალი და ასი ყური“ უნდა ჰქონდეს გამოზმული, რათა ქვეყანა ამ „სამი ვეშაპის“ თანხლებით ისე გაატაროს თანამედროვე მშფოთვარე მსოფლიოს აზოგოქრებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ზვირთებში, რომ ჩვენმა, ამ გიგანტებთან შედარებით პატარა, ნავისოდენა ხომალდმა, მშვიდობით მიაღწიოს იმ ნავთსაყუდელს, რომელსაც ქვეყნის გამთლიანება, პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა ჰქვია.

ამასთან, როგორც ვხედავთ, საფრთხეები საკმაოდ დიდია: კავკასიაში, მით უმეტეს მის სამხრეთ, შენელებული მოქმედების ნაღმებით სავსე ნაწილში, უმსხვილეს და უძლიერეს სახელმწიფოთაგან თითოეულს საკუთარი გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური და სხვ. ინტერესები აქვთ, ამდენად საქართველოს მომავალი პრეზიდენტს ისეთი გონიერება, წინდახედულობა და გამჭრიახობა ჰმართებს, რომელიც, ალბათ, ქვეყანას მანამდე არც არასოდეს დასჭირვებია.

**ოთარ ტურაბელიძე.**

№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

● ჯემალ თოფურიძის ტრაგიკული დაღუპვიდან 30 წლის გასვლის შემდეგ მისი ნიჭის, დარდიანი და ტკივილიანი, მაგრამ საოცრად ფაფუკი სიყვარულით გამთბარი შემოქმედების თაყვანისმცემელთა მწკრივში უამრავი ის ხალხი ჩადგა, ვისაც მისი ცნობის პატივი არ რგებია

◎ დარჩა ჭაბუკად

# რად მიდიოდი...

**ცოცხალი რომ ყოფილიყო, 31 დეკემბერს სამოცი წლისა შესრულდებოდა ჯემალ თოფურიძე, გასული საუკუნის 50-იანი წლების მიჯნაზე დაბადებული თბილის-ქალაქელების ერთი გამორჩეულთაგანი კაცი, საუკეთესო მეგობარი და ჩინებული შემოქმედი. არადა, სულ რამდენიმე თვე და მისი ახლობლები, მეგობრები კიდევ ერთ, თუმცა სევდიან დღეს, მისი გარდაცვალებიდან 30 წლისთავს აღვნიშნავთ. ამბობენ, წერათმწერალს რჩეულნი იმიტომ მიჰყავს ადრე, უკეთესნი სურს გვერდით ჰყავდესო. გამოცდილებიდან გამომდინარე შეუძლებელია ამაზე კამათი, ამის დასტური კი თავად ჯემალ თოფურიძის, ჩვენი ჯემოს პიროვნებაა.**

კარგად მახსოვს გაზაფხულის ის ნაწვიმარი საღამო, როცა ჯემოს უბედურების ამბავი შევიტყვე, თუმცა ნათქვამს ბოლომდე არ ვენდე, მაგრამ ვერისუბანში, მაყაშვილის ქუჩაზე რომ შევუხვიე და მოზუზული, ატირებული ბიჭები დავინახე, გულს რაღაც ისეთი მოსწყდა, რაც ახლა მხოლოდ სიზმრად თუ მოდის ხოლმე.

მას შემდეგ ყოველ წელს — 31 დეკემბერსა და 22 აპრილს თავს იყრით ჯემოს საფლავთან მისი ახლობლები და მეგობრები. თავდაპირველად იქ უამრავი ხალხი მოდიოდა, წლების შემდგომ შედარებით შეთხელდნენ სასაფლაოზე მოსვლელები, ახლა უკვე სხვა ჩვენი მეგობრის საფლავზეც გვიწევს გასვლა, მაგრამ ერთი კია: ჯემალ თოფურიძის ტრაგიკული დაღუპვიდან 30 წლის გასვლის შემდეგ მისი ნიჭის, დარდიანი და ტკივილიანი, მაგრამ საოცრად ფაფუკი სიყვარულით გამთბარი შემოქმედების თაყვანისმცემელთა მწკრივში უამრავი ის ხალხი ჩადგა, ვისაც მისი ცნობის პატივი არ რგებია. ყოველივე ეს მისი მეუღლის მანანა დუმბაძის უდიდესი დამსახურებაა, რომლის მეცადინეობით ჯემოს მოთხრობების რამდენიმე კრებული გამოიცა და ასევე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი რამდე-



ნიმე საგულისხმო ლიტერატურული საღამო გაიმართა.

ჯემოს მეგობრები ჩვენს მანანას იმისთვისაც ვემადლიერებით, რომ შესანიშნავი ვაჟიშვილი, ნოდარი, სახელოვანი ბაბუის ნოდარ დუმბაძის სეხნია გაგვიზარდა, რომელმაც, თავის მხრივ, კიდევ ერთი ჯემალ თოფურიძე, ულამაზესი ბაბუის სეხნია მოავლინა ქვეყნად.

ნიჭით აღსავსე შემოქმედთა ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლა მარტო ქართული ლიტერატურის, ხელოვნების სამწუხარო ხვედრი არ არის, თუმცა სხვაზე ნაკლები უბედურება ჩვენს ერს, კულტურას არც ამ მხრივ რგებია. ჯემალ თოფურიძე ერთი იმ სულის სიღრმის ამომტრიალებელი მწერალთაგანია, რომელსაც ასევე არ დასცალდა ყველა ჩანაფიქრის ხორცშესხმა, სათქმელის, სადარდებლისა თუ სიხარულის ჩვენამდე მოტანა.

„რად მოდიოდი...“ — ფიქრობდა ლოთი და ტიროდა. მერე ისევ ჩაარტყეს მუცელში ხანჯალი. მერე დაბნელდა გარშემო. სიმწრისაგან თეთრი პერანგი შემოიხია და გათავდა“, — ასე მთავრდება ჯემალ თოფურიძის მოთხრობა „მარტო“, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე ერთიანად ააფორიაქა და აალაპარაკა მთელი თბილისი.

„ძალიან ჰგავს ეს ხალხი მიცვალებულებს თავიანთი ახალი ფეხსაცმელებით, ახალი კოსტუმებით, ძათქათა თეთრი პერანგებით და შავი ჰალსტუხებით, პიჯაკის გულის ჯიბეში — სათვალეებით. სახეზე ბინტახვეულები რამდენიმე წუთის გარდაცვლილები მეგონა. ალბათ იმ ბიჭსაც აუხვიეს, დღეს რომ მოკლეს. კოტიკასაც აუხვევენ, მერე დამწუხრებული ნათესავები თეთრ პერანგს ჩააცმევენ, ახალ ფეხსაცმელებს უყიდიან და ცოცხალს დაამსგავსებენ. მანამდე კი არავინ გამოჩნდება, სანამ არ მოკვდება... სანამ არ მოკვდება“. ეს კი ჯემოს მოთხრობის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქის“ ნაწყვეტია, რომელიც ტრაგიკულ აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალ „ცისკრის“ მაშინდელ მთავარ რედაქტორს ჯანსუღ ჩარკვიანს მიუტანა. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, საუბედუროდ, მისი ეს ბოლო მოთხრობა, რომლის დასტამბვას ველარ მოესწრო — ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა ახალგაზრდა კაცი. დღეს კოტიკაც აღარ არის ჩვენს შორის — თვეც არ არის გასული, რაც უცხო ქვეყნის მიწამ მიიბარა მისი ნეშტი...

ერთი კია: მაინც არ მგონია ნაღდი ამ მცირედი ამონარიდის ბოლო სიტყვები — მანამდე არავინ გამოჩნდება, სანამ არ მოკვდებაო... არ მგონია იმიტომ, რომ ადრეც ვაგრძნობინებდით ყველანი მას ჩვენს სიყვარულს და დღესაც ხომ ხატად გვაქვს მისი სახელი და ხსოვნა.

**ოთარ ტურაბელიძე**



◎ წერილი ამერიკიდან

**ცნობილი გეოგრაფი, სპელეოლოგი და ჟურნალისტი, ჭეშმარიტად გულმხურვალე პატრიოტი ჯუმბერ ჯიშკარიანი, როგორც მრავალი ქართველი, უკვე 8 წელია, რაც უცხოეთში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხვდება ახალ წელს. ჩვენი ჯუმბერი ნოსტალგიას, თითქოს, იმით იქარვებს, რომ ხანდახან საგაზეთო მასალას გვიგზავნის ამერიკიდან და ჩვენც, ცხადია, სიამოვნებით ვბეჭდავთ ხოლმე.**

**ამჯერად, ჯუმბერ ჯიშკარიანმა საახალწლო მოსალოცი ბარათი გამოგვიგზავნა ოკეანის გაღმიდან, რომელიც, ჩვენ, მაგალითად, აუღელვებლად ვერ წავიკითხეთ.**

**აი, ძვირფასო მკითხველო, სამშობლომონატრებული კაცის გულისთქმა:**

ძვირფასო მეგობრებო, თითოეულს და ყველას ერთობლივად შობა-ახალ წელს მოგილოცავთ!

# კოლეგის ნოსტალგია



როგორც ბ-ნი ლევან გოთუა იტყოდა: „სალამი და სურვილი რაც უფრო შორეულია, მით უფრო ძლიერია და ღრმა“. იქნებ ზოგმა იფიქროს, — ეს კაცი სუფრაზეც არ გვასვენებს და ლევან გოთუაზე საუბრობსო; მაგრამ მაპატიეთ, რა ვქნა, თუ ამ უზნეო საუკუნეში, მასზე ზნეკეთილი და სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი სხვა ვერავინ ვიპოვე.

ლევან გოთუასამებრ, მეც გულით გილოცავთ ახალ წელს; ჯანის სიმრთელეს, სულის მხნეობასა და ჭირსა შიგან გამაგრებას გისურვებთ.

მჯერა! — მანძურთებისა და მაიმუნების ბურთაობასა და თარეშს მალე მოეღება ბოლო.

მიიწურა ჩემი „ნებაყოფლობითი“ პატიმრობის მერვე წელიც.

ყოველი ახალი წლის წინ, ხელთ ვიღებ თამარ და სანდრო გოთუების წიგნს — „ცხოვრება ლევან გოთუასი“, გადავშლი 343-ე გვერდს და ვკითხულობ ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკიდან შინ გამოგზავნილ ბარათს, რომელიც 1951 წლის 1 იანვარს არის დაწერილი.

თქვენი ნებართვით ამ ბარათიდან ნაწყვეტს წაგიკითხავთ:

„ჩემო კარგებო! ისევ და ისევ შორეთიდან გილოცავთ ახალ წელიწადს. კაცობრიობის ისტორიაში ოცნებას უდიდესი დამსახურება მიუძღვის, ხოლო ყველაზე აღიარებული ოცნებისა და კეთილი სურვილების დღე ახალი წლის უხილავი მიჯნა გახლავთ. ამ დღეს ყველა ოცნებობს და ბედნიერია ზღაპრული ნაცარქექიადან მიჯაჭვულ ამირანამდე, ყველა ცოცხალისა და მოაზროვნის ჩათვლით. მეოცნებე კაცი კი ყოველთვის უფრო გულკეთილი და ლმობიერია.

იქნებ ამიტომაც არის, რომ ამ დღეს, კაცობრიობის ისტორიაში თითქმის არც ერთი დიდი ბოროტება არ დატრიალებულა. ეს დღე ყველაზე უფრო ჰუმანურია ჩვენს კალენდარში. ამ დღეს მოგილოცავთ სამშობლოს შვილებო, გისურვებთ ბედნიერებას და უსათუოდ თავისუფალი საქართველოს ბედნიერებას. ამაზე დიდი სურვილი მე არც ვიცი, არცა მქონია და ახლა ხომ მით უფრო არ გამაჩნია“.

ვიმეორებ! — ეს ბარათი 1951 წლის 1 იანვარს დაიწერა. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს აზანზარებდა. ბევრმა იქნებ არც იცის რა იყო საკონცენტრაციო ბანაკი. მხოლოდ ერთი წინადადება ბ-ნი ლევანის წერილიდან — „ჩვენი დაბინდული ბარაკი თავისი უფროსებისა და დარაჯის სახეებით, საოცარი ნადირებით სავსე ბუნაგს უფრო ჰგავს ვიდრე მე-20 საუკუნის პატიმრების ციხე-სამყოფელს. ჩვენ მონები ვართ, ყოველგვარ უფლებებს მოკლებული“.

ჰოდა, თუ ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში მყოფს არ დაუკარგავს სულის მხნეობა და რაც მთავარია, უსათუოდ თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდა, ჩვენ რა უფლება გვაქვს, უსამართლობას შევეგუოთ?

მძიმე დღეები უდგას ჩვენს ქვეყანას...

იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ერი და ბერი გაითავისებს, რომ „კაცი კი არა, ტახტი კი არა, საქართველოა გადასარჩენი“ (ჯემალ ნინუაძ.

ბოდიშს ვიხდი, სიტყვა გამიგრძელდა.

თქვენთან ერთადერთი თხოვნა მაქვს! — დღეს, ახალი წლის მიჯნაზე გაიხსენოთ „შურსა და ცილზე ამაღლებული“, „დიდი კრწანისელი მეომარი“ და უბერებელი მთამსვლელი, სიკვდილის მრავალგზის დამთრგუნველი რაინდი, ბ-ნი ლევან გოთუა, ვინძლო, ამ დროს ამერიკიდან მეც შემოგიერთდეთ.

**კიდევ ერთხელ გესალმებით და ვაჟკაცურად გართმევთ მარჯვენას. ღმერთმა დაგლოცოთ!**

*დიდი პატივისცემით თქვენი*
**ჯუმბერ ჯიშკარიანი**
**აშშ. ფლორიდა,**
**25 დეკემბერი 2007 წელი.**

◎ საახალწლო სათქმელი

# სახლიდან ნუ გახვალთ, ქართველებო!

**მართალია, საარჩევნო „მარათონმა“ თუ „ბატალიებმა“ ყველაფერი გადაფარა, ყველაფერში ჩაყო თავისი დრუნჩი, მაგრამ ახალი წელი მაინც მოდის. მოდის თავისი სილამაზით, თავისი რწმენითა და მომავლის იმედით.**

მეც მინდა წინასწარ მოგილოცოთ, ჩემო ძვირფასებო, 2008 წლის შემობრძანება და შარშანდელი წინასაახალწლო ნიუანსები გავიხსენო:

გახსოვთ, ალბათ, საახალწლოდ სატელევიზიო მილოცვებით მოგვმართეს საქართველოში აკრედიტებულმა საელჩოებმა, წარმომადგენლებმა და სხვა მსგავსმა ორგანიზაციებმა. გვისურვეს საუკეთესო სურვილები და, ზოგმა ორიოდე გაზეპირებული ქართულით, ზოგმა, მართლა, ქართულად, ღიმილითა და დიპლომატიური თავშეკავებით გზა დაგვილოცეს „ევროკავშირისკენ“, „ნატოსკენ“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებისკენ. თან მოგვიწოდეს ახალი წლის ღამეს გამოვსულიყავით ქუჩაში, რათა იქ შევხვედროდით ამ ხალისით სავსე დღესასწაულის შემოსვლას. მერე ამ მილოცვებს შეუერთდა ჩვენი, ქართული „ბომონდი“ და ცოტა „ნამეტანიც“ დაემართათ:



— „ტელევიზორებთან, როგორ უნდა დარჩე ადამიანი... სახლში რა უნდა კაცს? აბა, რატომ უნდა ვუსმინოთ პრეზიდენტს... რატომ უნდა მივაცქერდეთ ვიღაცის „ტლინკაობას“... ადამიანი თავისუფალია!.. დიდებულია ქუჩაში გატარებული ახალი წლის ღამე!..

...და ქალაქში უმეტესობამ აიტაცა ეს წინადადება, სოფელში კი, ზოგგან დენი არ იყო და არაფერი გაუგიათ. იმათ კი, ვინც ტელევიზორებს მიჩერებოდა, უბრალოდ, ჩაიდუდღუნეს:“

— აბა, ქუჩაში რავა შეიძლება, შეხვდე კაცი ახალ წელს?..

„ჩაიდუდღუნეს“, მაგრამ ეს „ჩადუდღუნება“ არავის გაუგია ქალაქში. სოფელში ისედაც იცოდნენ, რომ ტრადიციების ერთგულებით ფასობს ერი!

...იმ ტელეგადაცემიდან კიდევ ორი რამე მახსოვს:

**პირველი**

„ბომონდს“ გაახსენდა, რომ ახალწელს მხოლოდ პრეზიდენტი კი არ გვილოცავს, არამედ, ერის სათაყვანებელი, უწმინდესი და უნეტარესი აღავლენს ლოცვაკურთხევას ჩვენი სულების გადასარჩენად! და ცოტა არ იყოს, შერცხვათ ამ „შეხსენებისა“, მაგრამ „გადაწყვეტილება“ უკვე მიღებული ჰქონდათ!..

**მეორე**

მართალია, საერთაშორისო „ორგანიზაციებმა“ უამრავი კეთილი რამ გვისურვეს, მაგრამ არავის შეხსენებია მართლმადიდებელთა დიდებული ტრადიცია. ერთადერთმა საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანმა ელჩმა ბატონმა ულტინსკამ გვირჩია:

— „გაატარეთ ახალი წლის ღამე ოჯახურ გარემოში. თქვენს უსაყვარლეს ადამიანებთან ერთად და ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია ქვეყნად... ქუჩაში გამოსვლას ხვალაც მოასწრებთ!“

მეც ბატონი აულტინკის ამ სიტყვებით მინდა მოგიწოდოთ — დარჩით ოჯახში ახალი წლის ღამეს მაინც!

არჩევნებსაც, დროსტარებასაც, „ორგიებსაც“ ხვალ და ზეგაც მოესწრებით, თუ მაინცდამაინც, ასე გინდათ!

დადექით მუხლებზე და მოუსმინეთ უწმინდესს!

გისურვებთ ოჯახურ სითბოს, ქართველებო!

**ზაურ ფიფია**

ომ გახსოვს საღამო, თეთრი და საამო,
ზეცა რომ დაიხა ფარფატა ფიფქებად,
ხომ გახსოვს, ვიღაცამ ჭიშკარი გააღო,
მე და შენ ვიდექით, ქცეული ფიქრებად



№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი, 2007 წელი.

◉ პოეზია

# რადგან დაზამთრდა...



**ციკლიდან – „დაღლილი ნაბიჯები"**

*ჩემო მკითხველო!*

*როგორც ხედავ, ამ სიბერეში, ლექსს მივეძალე.*

*ღმერთი-რჯული, ამჯერადაც არავის არ ვეჯიბრები, უბრალოდ გულმა არ მომასვენა და ჩემი ფიქრები გავლექსე.*

*საფიქრალი და სათქმელი კი საკმაოდ მქონდა ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე.*

*ეს ჩემი „საბოდიშოა!" ლექსებს ბოლომდე თუ ჩაიკითხავთ, მადლობელი დაგრჩებით.*

**გურამ გომართელი**

## გასაუბრება ორეულთან

ადრე დაღამდა, რადგან დაზამთრდა.
მთებზე დაბარდნა, მე კი დამძაფრა
ფარდად ქცეულმა შავმა ნაბადმა.
დრო აღარ მიქრის, დრო დადგა ფიქრის,
ბუხართან ჯდომის, ცოდვათა გმობის,
(ახლა არ მითხრა — არ მქონიაო!ძ
ჯობს, გაიხსენო — სადა და როდის?
გათენებამდე დროა საკმაო, ნახევარძმაო!
შენ თავს უამბე, ნუ ხარ უარზე!
... გათენებამდე დროა საკმაო.

## იყო საღამო

ხომ გახსოვს საღამო, თეთრი და საამო,
ზეცა რომ დაიხა ფარფატა ფიფქებად,
ხომ გახსოვს, ვიღაცამ ჭიშკარი გააღო,
მე და შენ ვიდექით, ქცეული ფიქრებად.
ჩვენი ერთად ყოფნის ჟამი დამდგარიყო,
(გახსოვს, წამწამებზე ფანტელი გეყარა!ძ
ჩურჩულით, ღიმილით ამბობდი: „რა გიყო?"
მე კიდევ იმ წამში, შევძრავდი ქვეყანას.
მერე მივაკითხეთ ჩვენს ბაღს,
სახლისნაცვალს,
წყვილად ვიარეთ და ვზომებთ ბილიკები,
კრინში ვღიღინებდით რაღაც
ლოცვის მაგვარს,
(ნეტავ დაგვეზოგა მაშინ, ტკბილი ხმები!ძ.
... ხომ გახსოვს, საღამო, თეთრი და საამო.

## შეძახილი

ნაცარმიყრილი ნაღვერდალი წამში
გაღვივდება —
შენ თუ მოგინდება!
შუქი არ ჩაქრება, არ დაბინდდება —
შენ თუ მოგინდება!
ძალა მომძლავრდება, ზვარად მოდინდება —
შენ თუ მოგინდება!
სული იგუგუნებს, გვერდით დაგიდგება —
შენ თუ მოგინდება!
მაშ უხმე შენს ძალას, ხომ ხედავ გჭირდება —
დღე გაგიდიდდება!

## წარწერა ოთარ ლითანიშვილის ფოტოზე

კაცი ქცეული ლეგენდად,
კაცი საჩინო თვალისა,
სუყველას დამპურებელი,
არ მიმხედვარე თავისა,
არც ფუნჯი არ დაუფასეს და
არც მოქნევა ხმალისა,
ხან იყო მერი ქალაქის,
ხან კი დარაჯი ღამისა.

* * *

დამძიმდა ყოველი დღე,
რაც ვიყავ, აღარ ვარ მე,
ოხვრამ გამიცუდა ღამე,
სიზმარმა ჩამიქრო მზე.
არ ვიცი, რა ვუყო შავ ფიქრებს,
ტკივილს და შეკვეცილ ფრთებს,
მომბეზრდა უაზრო ფრაზები,
თავ-ბოლოს ვერ ვუგებ გზებს.
ვერ ვუვლი ჩემს მრევლს და ჩემს სოფელს,
ვერ ვუვლი დარდსა და ცრემლს,
მშვიდობით, ლამაზო დღეებო,
სალამი — დედას და ღმერთს!

## ბაიათი

ქსოვრელების ხმაზე

მახსოვს პირველად რომ გნახე,
სევდიანი მქონდა ღამე,
სული ველარ ამოვითქვი,
თვალი ვერ დავახამხამე.
ღობე-ყორეს ვედებოდი,
ხან ვიცინე, ხან ვიტირე,
უზომო სიყვარულისგან,
თავი ვერ გადავირჩინე.
განწირულის ფერი დამდე,
მეგობრად გამიხდა დარდი,
კონცერტივით ბიჭი ვიყავ,
სხვისი შესაბრალი გავხდი.
თურმე შენც ჩემს დღეში იყავ,
ვაჰ, რა წლები გავაცდინეთ,
მე მხოლოდ მაშინ შევიტყვე,
საფლავზე, რომ დამატირე!

◉ „საყვარელი თბილისი, პოეტების სამეფო"

# ჩვენი თაყვანი საახალწლოდ — „სულის ინჟინრებს"

**ანა კალანდაძეს**



ქალბატონმა ანამ, თავისი ბრწყინვალე ლექსების კრებული — „ანა", გულთბილი წარწერით უსახსოვრა ჩემს ციცქნა შვილიშვილს ანას.

თქვენს ნაჩუქარ წიგნს ანანო,
როს ხელში იღებს კრძალვითა,
გული სიამით მევსება
და ცრემლს ვიმშრალებ მალვითა.
და ღმერთს ვთხოვ — მასაც თქვენსავით,
სწვავდეს სამშობლოს ღადარი,
ჯერ კი ეს წიგნი ასწავლის:
„სხვა საქართველო სად არი".



**მუხრან მაჭავარიანს**

ახლახან გამოცემული მისი ოთხტომეულის გამო

ოთხტომეული რას დაიტევს სევდას
მუხრანის,
გასახარებელს ვერას ხედავს, ცოტა უხარის,
თავი წამოჰყვეს ცვედნებმა და სულით
ქოსებმა,
„გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც
შეიმოსება".

**ჯანსუღ ჩარკვიანს**



მწყურვალისათვის მიტანილი გაქვს წყალი,
მევალისათვის მიტანილი გაქვს ვალი,
სიცოცხლე მიდის უხალისოდ და მდორედ,
ისეთ დღეში ვართ, რომ არ ელოდი სწორედ.
იმედი ახლავს მაინც ცხოვრების გრიგალს,
რადგან მსოფლიო ტაშს უკრავს ირმა გიგანს.

**ტარიელ ჭანტურიას**

მისი ახლახან გამოცემული ლექსების კრებულის „საიტ. უმლო ბარათი" — წაკითხვის შემდეგ



ტარიელა უცნოურო,
(აი, ფამილარობაძ,
მართლაც სულ სხვა
პოეტი ხარ —
სად გავექცე რეალობას.
სიდან მოდის ეს რითმები!..
ეს რიტმები სიდან მოდის!..
რა თქმა უნდა,
ღმერთისგან და,
და რა თქმა უნდა,
ციდან მოდის.
ადრე გკადრე შეხუმრებით:
„შენი ლექსი, ტია-ტია,
რა ვქნა ძმაო, უნდა გითხრა —
არც ისეთი დიადია,
საღარაძე კითხულობდა,
შუა გზაზე მიატია".
უკან მიმაქვს ეს სიტყვები,
ქედს გიხრი და გეფერები,
კვლავაც შობოს
საქართველომ,
პოეტები, შენფერები!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ გვწერენ

# ცოდვა-მადლიანი საკითხავი...

**საქართველო სიღარიბის გარეშე! — პრეზიდენტობის კანდიდატის მთავარი წინასაარჩევნო სლოგანი რომ ძნელად განსახორციელებელია, საახალწლო მარათონსაც ეტყობა.** ამ გაჭირვებულ, განვითარებად ქვეყანაში ვის გაუგია ბუტაფორიული, უგემოვნოდ მორთული 25-მეტრიანი ნაძვისხისთვის ათეული ათასობით ლარი გადაიხადო? რატომ დავკარგეთ ბუნებრივი, ქართული ნაძვისხით დედაქალაქის ცენტრის გამშვენების ტრადიცია?



მოწვევა საახალწლო კარნავალზე ამ არეულ, წინასაარჩევნო ომით დაქანცულ ქვეყანაში?..

* * *

**სიღარიბის დაძლევისთვის მოწოდებული პრეზიდენტობის კანდიდატი და მისი ხელისუფლება რანაირად უხდის უცხოელ, ერთ დროს პოპულარულ მაგრამ უკვე „ჩამოწერილ" მომღერალ შაკირას 7 მილიონ ლარს?** რა დაჯდება სტინგისა და სხვათა

* * *

**რატომ დავივიწყეთ ქართული შვიდქიმიანი სახელმწიფო ვარსკვლავი და ყველგან რატომ ვაკიაფებთ ხუთ ან ექვსქიმიან ვარსკვლავს?** დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი სახელმწიფო ატრიბუტიკა აქვს და ნუ ვამახინჯებთ ეროვნულ სიწმინდეებს...

◉ მკითხველის ლექსი

## გაიღვიძე, ჩემო ერო!..

გაიღვიძე, ჩემო ერო,
წელი მოდის ახალი.
მომავალი ჩვენ გვეკუთვნის,
არ დავყაროთ ფარ-ხმალი!..
გაიღვიძე, ჩემო ერო,
ასწი დროშა მაღალი,
დაე, ქვეყნად გაისმოდეს
გამარჯვების ხარხარი.
გაიღვიძე, ჩემო ერო,
იმედი არ დაკარგო,
სიხარულის ხე ვახაროთ,
ბოროტი ხე არ დავრგოთ!
გაიღვიძე, ჩემო ერო,
წელი მოდის ახალი.
მომავალი ჩვენ გვეკუთვნის,
კვლავ დავფეროთ ფარ-ხმალი!..
გაიღვიძე, ჩემო ერო,
მოდი წელო ახალო,
რათა გული გაგვიხარო,
გამარჯვება გვახარო!..

**თენგიზ თომაძე,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

◉ წინასაარჩევნო სხარტულები

## წარწერა ავტობუსზე

აწერია მარტივად და გასაგებად:
„დასაქმება. დასაქმება. დასაქმება",
სოხუმისკენ გზის საფარის დასაგებად,
პრეზიდენტის იმ სრასახლის ასაგებად,
კიდევ სადა? ძველთა სახლთა დასანგრევად!
...ბევრზე ბევრი განაცხადი გასაღდება...

## დაპირება

დასაქმების აჩემებით
კარს მოგვადგა არჩევნები.
უსაქმოდ არ დარჩებიან
არც თქვენები, არც ჩვენები.
თუმცა პენსიონერი ვარ —
სახლში არც მე გავჩერდები...

**თამაზ ილმელი**



# კულტურა

ბუნება წელიწადის სხვადასხვა დროსა და დღის გარკვეულ შუალედში – ამ აზრით გააერთიანეს ელენე ახვლედიანის პეიზაჟური ტილოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა და ახლახან საზოგადოებრიობას წარუდგინეს





გამოფენა

## დიდი მხატვრის დიდი ხელოვნება გვილოცავს

**ელენე ახვლედიანის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში სპეციალისტები განსაკუთრებით გამოარჩევენ პეიზაჟურ ფერწერას, რომელიც მხატვრისათვის მნიშვნელოვან დეკორატიულ-ფერწერულ ფასეულობას წარმოადგენდა და აღნიშნავენ, რომ მისი ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნება ყველაზე ნათლად სწორედ ამ ჟანრში ვლინდება. მხატვრის ადრეული, პარიზული პერიოდიდან დაწყებული, ვიდრე სიცოცხლის ბოლომდე იგი ამ ჟანრის ერთგული იყო და სამშობლოს პეიზაჟური ფერწერის არაერთი შედევრი დაუტოვა. ეს არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ლანდშაფტები, აგრეთვე პარიზული სერიის სურათები. პარიზულ წლებში, რომელიც მხატვრის ცხოვრებაში ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდი იყო, საკუთრივ პარიზის გარდა საქართველოდან წაღებული ჩანახატების მიხედვით ძველი თბილისისა და მშობლიური ქვეყნის პეიზაჟებიც შეუქმნია.**



თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო გამორჩენილი მხატვრისათვის ბუნება-ამის შესახებ იგი წერდა „მე ყოველთვის ძალზე მძაფრად განვიცდი ბუნების ცვლილებებს. ერთი გაყვითლებული ფოთოლი, ტყვიისფერი ცა მე უკვე მიმღერის ნაღვლიან სიმღერას. შემოდგომისას კახეთის გზაზე ეს კაშკაშა წითლის, ყვითლის, ჟოლოსფერის, ოქროს, ლურჯის, მწვანის მთელი სიმფონიაა. უყურებ და ნათლად გესმის ბეთჰოვენი... საზოგადოდ, მუსიკა ყველა სხვა ხელოვნებაზე მეტად მიყვარს, ჩემს ხელოვნებაზე მეტადაც კი“.

მხატვრის განწყობის ამსახველია ძველი უბნების კოლორიტული გადაწყვეტა, ფერის ნატიფი, უტყუარი შეგრძნება, შესრულების თავისუფალი ფერწერულობა, განათება. რეალობა ფერმწერმა ადამიანის და გარემომცველი სამყაროს სიყვარულით, სითბოთი და ოპტიმიზმით გამსჭვალა.

ბუნება წელიწადის სხვადასხვა დროსა და დღის გარკვეულ შუალედში – ამ აზრით გააერთიანეს ელენე ახვლედიანის პეიზაჟური ტილოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა და ახლახან საზოგადოებრიობას წარუდგინეს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში სახელწოდებით „წელიწადის დრონი“.

საგამოფენო სივრცეს ავსებს მუზეუმის კოლექციაში დაცული ორმოცამდე ფერწერული ტილო, რომლებიც დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს კიდევ ერთხელ დატკბნენ ამ შედევრებით, რომელთა შორისაა გასული საუკუნის 20-იან წლებში შექმნილი თელავისა და პარიზის პეიზაჟები, ალაზნის ველი, ფასანაურის მიდამოები, 50-იან წლებში დახატული „გაზაფხული უკრაინაში“, „იმერეთი“, „ქეიფი ტბის პირას“...

ერთი მთლიანი კედელი ეთმობა მხატვრის ზამთრის პეიზაჟებს, აქვეა ცნობილი „სიღნაღიც“. სხვათა შორის, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ამ ექსპოზიციას სხვა დატვირთვაც მიანიჭა და ეს გარკვეული ტრადიციაც არის. ელენე ახვლედიანის ეს გამოფენა სიმბოლურად ახალი წლის მილოცვაა ქართველი ხალხისათვის და კიდევ:

**„სიღნაღის თემა მნიშვნელოვანი იყო ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში, ეს თემა ძალზე აქტუალურია დღესაც. წლეულს გაიხსნა სიღნაღი-მუზეუმი და დასრულდა მისი რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, სიღნაღის აღორძინება კვლავაც გაგრძელდება. ეს თემა ხელოვნების მუზეუმს დააკავშირებს სრულიად ახალგაზრდა სიღნაღის მუზეუმთან“,** – აღნიშნა ექსპოზიციის გახსნისას საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ.**

ექსპოზიცია, რომელიც ახალ წლამდე გასტანს, საიუბილეო წლის პირველი ღონისძიებაა. 2008 წლის აპრილში აღინიშნება მხატვრის დაბადებიდან 120 წლისთავი.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ჩვენი პერიოდიკა

## ამ ჟურნალის ფურცლებზე საქართველო ცოცხლობს...

**ანუ ვისაც ღონიერი ქართული ტექსტების კითხვა გიყვართ, ახალი წლის უქმე დღეებში „მნათობი“ თავის ახალ მე-5 და მე-6 ნომრებს გთავაზობთ**

**დიდად სასიხარულოა, რომ უკვე კარგა გვარიანად „ხნიერი“ ჟურნალი „მნათობი“ (მთავარი რედაქტორი თამაზ ჭილაძე) კვლავ ცოცხალია და თვითონ საქართველოს სიცოცხლის კეთილ მაცნედ გვევლინება წელიწადში ექვსჯერ ჩვენს საპატრიარქოსთან არსებული სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინების ფონდისა და შპს „ყაზბეგის“ საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით.**

მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ ლიტერატურულმა ჟურნალმა ამჯერად ერთდროულად მიაწოდა მკითხველს თავისი მე-5 და მე-6 ნომრები უამრავი საყურადღებო მასალით.




ამ საყურადღებო მასალათა შორის უწინარესად გამოსარჩევია თვითონ ჟურნალის რედაქტორის, ჩვენი თვალსაჩინო მწერლის **თამაზ ჭილაძის** ახალი რომანი **„ბრეიგელის მთვარე (ანქსიეტას პრეკორდიალისიძ“,** რომელიც მე-5 ნომრის ფურცლებზე მთლიანად იბეჭდება. ვინც თამაზ ჭილაძის ფრიად მრავალმხრივ შემოქმედებას იცნობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ უთუოდ დიდი სიხარული მოელის მწერლის ამ ახალი მცირე რომანის წაკითხვით. რომანს დაწერის თარიღად 2007 წელი უზის. ასე რომ „მთვარე“ მთლად „ცინცხალი“ ნაწარმოებია, ჩვენი აწეწილ-დაწეწილი დროების კვალდაკვალ შექმნილი ფრიად გამოცდილი ოსტატის მიერ.

ამავე ნომერშია სკანდალურად სახელგანთქმული რუსი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, საქართველოს დიდი მეგობრის **ბორის პასტერნაკის** ლექსები, რომელთა თარგმანი ქართულ სტრიქონთან ღონივრად შეჭიდებულ პოეტს **ბათუ დანელიას** ეკუთვნის. ბათუ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც პოეზიის მოყვარულთათვის უთუოდ გულგასახარ შედეგიანად თარგმნის იოსებ ბროდსკისა და ბორის პასტერნაკს. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ამ საქმეში „რაყიფიც“ არა ჰყავს.

სიამოვნებით წავიკითხე და თქვენც გთავაზობთ **გურამ ბენაშვილის** („ვიტრაჟები“ძ, **ავთანდილ არაბულის** („ეპოქის შეკვეთა“ძ წერილებსა და **დავით მუსხელიშვილის** სიტყვას, 2005 წლის 16 ოქტომბერს მეცნიერთა ყრილობაზე წარმოთქმულს.

ჟურნალის მე-6 ნომერი მთლიანად მიძღვნილია **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 30-ე წლისთავისადმი (თამაზ ჭილაძე** – „ერის მოძღვარი“, **გრივერ ფარულავა** – „ერის მამა“ძ.

**გიგი სულაკაურის** პატივისმცემელნი აქ ნახავენ პოეტის პროზას – მოთხრობას **„თამაში რევოლვერით“,** ხოლო ერთ-ერთი უთუოდ საყურადღებო დრამატურგი ირაკლი სამსონაძე გვთავაზობს ახალ პიესას **(„ციცქნა გოლიათი, ჩვენი“ძ.** პროზა წარმოდგენილია აგრეთვე იაპონელი **ხარუკი მურაკამის** მოთხრობით **(„დუმილი“ძ** თარგმნა **მანანა მიქელაძემ.**

აქვე ნახავთ **გურამ ბენაშვილის** („რომანის პოეტიკა და რიტორიკა“ძ, **რევაზ სირაძის** („ენათა სულიერი ყოფიერებისთვის“ძ და **ბონდო არველაძის** („ჯავახეთ“ძ დიდად საყურადღებო წერილებს.

გარდა ამ მასალებისა, ჟურნალის ორივე ნომერი სავსეა პოეზიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და პუბლიცისტიკის სიახლეებით.

2007 წლის პირველი ნომრის გამოსვლამდე ამა წლის ორივე ნომერი თავიდან ბოლომდე გამოსაზოგად წასაკითხი ნომერია, რომელთა მიხედვით მკითხველი ერთხელ კიდევ მიხვდება, რომ საქართველო აზროვნებს, ანუ ცოცხალია.

**გურამ წიკლაური**

უიმედო ნატვრა?

## ვინ აჩუქებს კომპიუტერს 9 წლის თორნიკეს?

**9 წლის თორნიკემ დაბადების დღეზე დედას სთხოვა – მიხეილ სააკაშვილი დამიპატიჟეო. რატომო, ჰკითხეს, მეც მაჩუქებს კომპიუტერსო. ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატი ბავშვების თვალში (და არა მხოლოდ მათთვისძ კეთილი საჩუქრებით დახუნძლულ ძიას ჰგავს, რომელიც ყველა სურვილს აუსრულებთ. „საქართველოს პრეზიდენტი იქნება თითოეული ქართული ოჯახის ახლობელი და მეგობარი“, – სააკაშვილის 4 წლის წინანდელი დაპირება 4 წლის შემდეგ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, წინასაახალწლოდ, გაახსენდათ ნაციონალებსა და მათ ფავორიტს. ხალხმა ბოლოს და ბოლოს ხელისუფლებისგან მიიღო პასუხი ერთ მარტივ შეკითხვაზე – სად გაქრა ხალხის მთავრობა? მთავრობამ ისინი დააიმედა, არსადაც არ გავმქრალვართ, თქვენს გვერდით ვიყავით, თქვენზე ვზრუნავდით, ასფალტებს გიგებდით, ფანტანებს გიშენებდით, „ელექტროენერგიას გიღდგენდით“... ამიტომაც დროებით დაგივიწყეთ, მაგრამ მეორე საპრეზიდენტო ვადაში ყველა დანაპირებს შეგისრულებთო!**



„მე მქონდა სკამი, გავწიე გვერდზე და გადმოვეცით თქვენ. ისინი გვიტევენ ჩვენ. ჩვენ შევუტევთ სიღარიბესა და უმუშევრობას“, – ამ სლოგანით მოგზაურობს სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში თვალზე ცრემლმომდგარი პრეზიდენტყოფილი, ბავშვებითა და მოხუცებით გარშემორტყმული, გულაჩუყებული, დაპირებების ჭრელი ხურჯინითა და სიმღერებით. ისინი, ვინც მას უმღერიან – „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარიაო“, სჯერათ, რომ იგი ეროვნული გმირი და წინამძღოლია, სახელმწიფოებრიობის მესაძირკვლე, ვინც ახალ ეპოქას ჩაუყარა საფუძველი. საზოგადოებრიობის მეორე ნაწილს კი მისი აღარ სჯერა: ბოლშევიკური მეთოდებით მართავს ქვეყანას და ბელადომანიის სენი წინსვლის მაგივრად უკან გადადგმული ნაბიჯია, რაც სამოქალაქო საზოგადოების მაგივრად პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელსო.

წარმატების მოსაპოვებლად, პოლიტიკოსს შეცდომების აღიარების უნარიც უნდა შესწევდეს. სამწუხაროდ, P.S.-ის ეთერით, ქართველი ემიგრანტის შეკითხვას, დაესახელებინა თავისი სამი მთავარი შეცდომა, სააკაშვილმა ზოგადი პასუხი გასცა და უმთავრეს ნაკლად მთავრობის გუნდი დაასახელა. ბუნებრივია, ეს აზრი უსაფუძვლო არ იყო – კომპეტენტური, პროფესიონალი კადრების სიმწირეს, მართლაც, განიცდის ხელისუფლება, მაგრამ გამაოცა ერთმა რამ – პრეზიდენტყოფილს არავითარი სინანული არ გამოუხატავს 7 ნოემბრის დარბევის მიმართ, არც უხსენებია, მაშინ როდესაც სწორედ ამ სისასტიკის გამო საერთაშორისო ასპარეზზე ყველაზე მეტად გავილანძღეთ და ჩვენი იმიჯი საგრძნობლად შეილახა.

ასე რომ, ხელისუფლების გულწრფელობა ძნელი დასაჯერებელია, თუნდაც მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე უმღეროდნენ და ეთაყვანებოდნენ. დაკარგულ ნდობას და ღირსებას შაკირას ტაშ-ფანდურით ვერ დაიბრუნებ, ვერც ქალბატონის ემოციური შეძახილით: „ჩემი მზე შენ გქონდეს, შენ!“...

საქართველოს ცას ერთი მანათობელი მზე დაჰყურებს, ის ყველას ერთნაირად ათბობს – ხელისუფლებასაც და პატარა თორნიკესაც, რომელსაც დაბადების დღეზე კეთილი ძია კომპიუტერს არ მოუტანს და ძალიან, ძალიან დასწყდება გული...

**თამარ შაიშმელაშვილი**

● **დიუსელდორფიდან ტრიუმფით დაბრუნებისთანავე ბატონი ნოდარი უწმინდესსა და უნეტარესს სიონის რეზიდენციაში ეახლა, გერმანიაში ფინალური მატჩის წინ გაგზავნილი გამამხნევებელი დეპეშისთვის მადლობა მოახსენა და სამახსოვრო საჩუქარიც მიართვა**



ორბიტაზე

## აი, ვინ თამაშობს დიდ ფეხბურთს

**2007 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით სპორტის სამყაროში ერთობ ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემამ La Eguipe გამოაქვეყნა მსოფლიოს ნაკრების თავისი ვერსია.**

ამ გუნდში განსაკუთრებით არიან წარმოდგენილი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები, ახლა ინგლისურ პრემიერ-ლიგას რომ ლიდერობენ. აი, ვინ მოხვდნენ „მსოფლიო ნაკრებში“.

**მეკარე:** ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“)*. **მცველები:** დანი ალვესი („სევილია“), ვილიამ გალასი („არსენალი“), პატრის ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“), ნემანია ვიდიჩი („მანჩესტერ იუნაიტედი“). **ნახევარმცველები:** კაკა („მილანი“), სესკ ფაბრეგასი („არსენალი“), სტივენ ჯერარდი



(„ლივერპული“), კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“). **თავდამსხმელები:** დიდიე დროგბა („ჩელსი“), რუდ ვან ნისტელროი („რეალი“).

როგორც ხედავთ, სიმბოლურ გუნდში მოხვდნენ მხოლოდ ევროპის სამი უძლიერესი ჩემპიონატის წარმომადგენლები. გამოცემის ჟურნალისტებმა გერმანიისა და საფრანგეთის ჩემპიონატებში ნაკრების კანდიდატები „ვერ აღმოაჩინეს“.

## ყბას ხელი არ შეუშლია

**წლის ბოლო შედეგების შეჯამების დროა. სწორედ ასე მოიქცა ბრიტანული ტაბლოიდი The Sun, რომელიც მთელი წლის განმავლობაში რესტლინგში მონაწილე ლამაზმანებს აცნობდა მკითხველებს. ყოველ კვირას მის ფურცლებზე ჩნდებოდა მომხიბვლელი ლამაზმანი, რომელიც თავისი ფორმებით ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას იმსახურებდა.**

ბოლო იყო ლამაზმანი, რომელიც თითქმის მთელი სეზონი დომინირებდა რინგზე – ბეტ ფენიქსი. თვით სპორტსმენი ქალის აღიარებით, ის მთელი ცხოვრება ოცნებობდა რესტლინგზე და ისტორიაშიც კი შევიდა, როგორც პირველი ქალიშვილი სპორტის ამ სახეობაში რომ გაიკვალა გზა. მან წარმატებას სერიოზული ტრავმის მიუხედავად მიაღწია. ყბის მოტეხილობის გამო მთელი წელიც კი გამოტოვა. მაგრამ დაბრუნდა თუ არა რინგზე – ჩემპიონატის ტიტულებიც OVW და WWE ვერსიებით მოიპოვა.

„ცხრა ადგილას ჩახრახნილი ტიტანის ორი ფირფიტა დამიყენეს ყბის აღსადგენად, სანამ საავადმყოფოში ვიწექი, მხოლოდ რინგზე დაბრუნებაზე ვოცნებობდი, რაც საბრძოლველად უფრო განმაწყობდა“. – განაცხადა ბეტ ფენექსმა. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ეს რინგის ლამაზმანს აუხდა.



ნოდარ ახალკაცი – 70

# ასეთი იყო ბერმუხა



**ბედობა დღეს დაბადებულს, საოცარი ბედი დაჰყვა: მაშინ, როცა მეგობარ-მეზობელ სახელმწიფოებში – აზერბაიჯანსა და უკრაინაში ტოფიკ ბახრამოვსა და ვალერი ლობანოვსკის აღმერთებდნენ და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეროვნულ სტადიონებს საამაყო თანამემამულეთა სახელები მიანიჭეს, ღირსეული მამულიშვილის ნოდარ ახალკაცის სამშობლოში მისი სახელობის არც სპორტული სარბიელი გაგვაჩნია, არც ქუჩა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ის სასწავლებლები, სადაც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე იღრმავებდა ცოდნას ინტელექტით გამორჩეული ეს ფართო დიაპაზონის პიროვნება (ნაძალადევის №9 საშუალო სკოლა, რკინიგზისა და ფიზკულტურის ინსტიტუტები).** ეტყობა, ამ საკითხის მოგვარებასაც გაეროსა და ევროკავშირის ჩარევა სჭირდება, თორემ არც ძველი და, მით უმეტეს – არც ახლანდელი ხელისუფლება მსგავსი წვრილმანებით თავს რომ არ იწუხებს, წლევანდელ 13 მაისს დადასტურდა, როცა ერის სათაყვანო თარიღის და უმცროსი ნოდარ ახალკაცის საზოგადოებისთვის შესაძულებლად სამარცხვინო საარჩევნო სპექტაკლი დადგეს. აღარაფერს ვამბობთ იმ სიბინძურეზე, რომლითაც სწორუპოვარ საფეხბურთო მოღვაწეს მისმა არაკეთილმოსურნე კაცუნებმა საბედისწერო გულისტკივილი მიაყენეს... მას შემდეგ 10 წელიწადი გავიდა.

ბატონი ნოდარის „აღმოჩენას“ მის პირველ მწვრთნელს, ტყავის ბურთის სახელგანთქმულ ოსტატს გრიგოლ გაგუას უნდა ვუმადლოდეთ. ასევე თბილად იხსენებდა იუბილარი შეუდარებელი ანდრო ჟორდანიასა და მიხეილ იაკუშინის ღვაწლს. როგორც მწვრთნელს, მის ტალანტს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტები, როგორიცაა ლუის მენოტი, ალექსანდრე სევიდოვი, ვსევოლოდ ბობროვი, კონსტანტინე ბესკოვი, სერგეი სალნიკოვი, ვალერი ლობანოვსკი, ლევ იაშინი, ნიკიტა სიმონიანი, ვიქტორ ცარიოვი და ვალენტინ ივანოვი.

როცა „ფარსდანოვიჩის“, როგორც სელექციონერის, ნიჭზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა დავასახელოთ ის თანამოაზრენი, თბილისის „დინამოს“ თავკაცად 1975 წელს დანიშვნის შემდეგ რომ შემოიკრიბა ირგვლივ. ესენი იყვნენ პატიოსანი პროფესიონალები ნიაზ ძიაპშიპა, სლავა მეტრეველი, სერგო კუტივაძე, ფიზმომზადების მწვრთნელი აკაკი ხუციშვილი, ექიმი ზაქარია თელია, მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი და გუნდის უფროსი თენგიზ მაჭავარიანი. სხვათა შორის, კადრების შერჩევასა და ახალგაზრდობისათვის ნდობის გამოცხადების საქმეში ბატონმა ნოდარმა მოგვიანებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც ისახელა თავი, როცა შვილივით აღზრდილ-ნაამაგარი თაობის წარმომადგენლები ამოიყენა გვერდით.



აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჩამოგითვლით ნოდარ ახალკაცის მიღწეული შთამბეჭდავი წარმატებების თანამონაწილეებს, საკადრისად რომ აფასებდნენ მის ერისკაცობას: გოგი თოფაძე, ჯემალ ზამბახიძე, ანზორ ბურჯანაძე, შოთა გორგოძე, ალეკო კობაიძე, ვაჟა აზარაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ წივწივაძე, ანზორ ერქომაიშვილი, ზურაბ ფორაქიშვილი, როინ მეტრეველი, გივი ნადარეიშვილი, ვახტანგ თხელიძე, მიხო ბოჭორიშვილი, დავით ჩხიკვიშვილი, ვახტანგ ბერიძე, სერგო ჯორბენაძე, ირაკლი აბაშიძე, ვასილ ჩანტლაძე, ნიკოლოზ ბარნოვი, შერმადინ სიხარულიძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ ფანჯიკიძე, ნოდარ გურეშიძე, ზაურ ბოლქვაძე, გიგლა ფირცხალავა, გოგი ცაბაძე, თენგიზ ჩანტლაძე, ვახტანგ ჩხიკვიშვილი და გოგი ნაცვალაძე.

და ბოლოს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების საიუბილეო დღეებში მსურს საზოგადოებას მოვუთხრო ბატონი ნოდარისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ახლო ურთიერთობის შესახებ. როგორც ჭეშმარიტი მორწმუნე, ფარსადანოვიჩი ხშირად დადიოდა სვეტიცხოველსა და უბისის მონასტერში, მუდამ იცავდა დიდ მარხვას.

ილია II ინტრონიზაციას 1977 წლის 23 დეკემბერს ნოდარ ახალკაცთან და თენგიზ ჩანტლაძესთან ერთად სვეტიცხოველში მეც დავესწარი. ოფიციალური ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ბატონმა ნოდარმა რამდენიმე სასულიერო პირთან და მგალობლებთან ერთად არმაზში ჯემალ ჭოლოშვილის ოჯახში მიგვიპატიჟა.

სხვათა შორის, ნოდარ ახალკაცმა ჰამლეტ გონაშვილის ალაპის სუფრაც იქვე, არმაზში გადაიხადა.

დიუსელდორფიდან ტრიუმფით დაბრუნებისთანავე ბატონი ნოდარი უწმინდესსა და უნეტარესს სიონის რეზიდენციაში ეახლა, გერმანიაში ფინალური მატჩის წინ გაგზავნილი გამამხნევებელი დეპეშისთვის მადლობა მოახსენა და სამახსოვრო საჩუქარიც მიართვა. საპასუხოდ ილია II ნოდარ ახალკაცს დაჰპირდა, რომ გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილე ყველა ფეხბურთელს ოქროს ჯვრით დააჯილდოებდა და ახალაშენებულ დიღმის საწვრთნელ ბაზასაც აკურთხებდა. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ იდეას ედუარდ შევარდნაძის საბრძანებელში განხორციელება არ ეწერა. ამაზრზენია, რომ დღეს ცეკას ყოფილი პირველი მდივანი სამების ტაძარში კათალიკოს-პატრიარქის აღვლენილ წირვას ესწრება. ამასაც მოვესწარით!

**დურმიშხან ცინცაძე**

**სურათზე: (მარცხნიდან): ნოდარ ახალკაცი, ნოდარ დუმბაძე, ვახტანგ ჩხიკვიშვილი და ნოდარ ჯანბერიძე.**

კალათბურთი

## ფინიში რეკორდით

**სუპერლიგა თებერვლამდე დაგვემშვიდობა. მეორე წრის დასკვნითი ტური სწორედ ისეთი გამოვიდა, შობა-ახალი წლის წინა დღეებში რომ ინატრებდა გულშემატკივარი.**

**თსუ – „მაკაბი“ 98:96**

„მაკაბის“ კაპიტანმა გიორგი შერმადინმა სეზონის რეკორდი დაამყარა – 37 ქულა, რითაც ერთი ქულით გააუმჯობესა „ენერჯი ინვესტის“ გამთამაშებლის ლაშა გამყრელიძის ძველი მიღწევა. ლიდერის შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი მაინც დამარცხდა, რაც ვუნდერკინდის უნებისყოფობამ განაპირობა – შერმადინმა მეხუთე პერსონალური ჯარიმა საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მიიღო, უყოჩოდ დარჩენილმა მისმა პარტნიორებმა კი შეხვედრის გადარჩენა ვერ მოახერხეს. სტუდენტთაგან შიო ხეცურიანმა ივაჟკაცა – 28 ქულა.



**„ენერჯი ინვესტი“ – „დინამო“ 87:74**

დინამოელთა სნაიპერმა ირაკლი გულისაბედაშვილმა პირველ ნახევარში 17 ქულა (სულ – 22 ქულა) მოაგროვა, რამაც ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებს შესვენებაზე საპატიო შედეგით – 42:42 გასვლის საშუალება მისცა. ფავორიტმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობის გატეხვა.

**„ავიამშენი“ – „ვითა“ 79:65**

ამ მატჩის ბედიც მეორე ტაიმში გადაწყდა. ავიატორებმა ვახტანგ მინაშვილისა (23 ქულა) და გიორგი ნიკოლაძის (28 ქულა) ძალისხმევით კარგად დაასრულეს ცუდად დაწყებული საქმე (პირველი ტაიმი – 30:39).

**სატურნირო მდგომარეობა:** „ენერჯი ინვესტი“ – 10, თსუ – 6, „ავიამშენი“, „ვითა“ – 4-4, „დინამო“, „მაკაბი“ – 3-3 მოგება.

გამოიცა

## ჩაუქთა ნაკვალევზე



**ქართველ სპორტსმენთა შარშანდელ მონაგარს ეძღვნება ჩვენი კოლეგის ვაჟა დანელიას მორიგი წიგნი „კვალი ჩაუქთა“, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული ავტორის, ალექსანდრე კოტორაშვილისა და რესპონდენტთა საოჯახო ალბომების ფოტოებით.**

მკითხველი, ვფიქრობთ, ინტერესით გაეცნობა სახელოვან ვეტერანთა თავგადასავლებს, რომლებსაც აგრეთვე შეხვდება აღნიშნული გამოცემის ფურცლებზე.

დავძენთ, რომ შემოთავაზებულ კრებულში დაბეჭდილი წერილების უმრავლესობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა.

გუჩი 1953 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ტანსაცმლის კოლექცია არ შეუქმნია, სამაგიეროდ, მისი სამი ვაჟი, ბიზნესის გასაფართოებლად, სწორედ ტანსაცმლის კოლექციებზე მუშაობას შეუდგა. დღეისთვის კი გუჩის სამარკო ნიშანი ყველაზე პრესტიჟულად ითვლება



№ 256. შაბათი, 29 დეკემბერი. 2007 წელი.

◎ გვემრავლოს!

## ლუკა კიზირია დაბადებულა!

**ამ დღეებში ჩვენი სამეზობლოდან კიდევ ერთი თვალხატულა ბიჭი შეემატა საქართველოს. იგი ჩვენი მეზობლების სტომატოლოგ მაყვალა რატიანისა და მისი მეუღლის, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტის მთავარი კონსტრუქტორისა და მთავარი ინჟინრის ემზარ კიზირიას მეხუთე შვილიშვილია.** მათ ტყუპ ვაჟს – ლაშას და ლევანს აქამდე ორ-ორი ვაჟი ჰყავდათ, ახლა ლაშას და მის მეუღლეს ნი-



ნო ლომიძეს მესამე ვაჟი შეეძინათ. მშობლებმა პატარას ლუკა დაარქვეს. მისი ამქვეყნად მოვლენით ხარობენ ბედნიერი მშობლები, ძმები ლევანი და დავითი, ბებია-ბაბუები, ბიძა-ბიცოლა, ახლობლები...

„მორიგი“ ვაჟკაცის შემატებას ვულოცავთ ღირსეულ ადამიანებს მაყვალა რატიანს და ემზარ კიზირიას, ლაშას და ნინოს. ახალ წელს სიმრავლე, სიხარული და ბარაქა დაეკვებოთ. ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს მათ ლამაზ ოჯახს.

**ბელა დურგლიშვილი ოჯახით.**

◎ ფაქტი



## ბედნიერი ახალი წლის პრელუდია

**ამ თვალებხატულა გოგო-ბიჭებს საარჩევნო ციებ-ცხელება, პოლიტიკოსთა დაპირისპირებები, ქვეყნის მომავალი საფიქრალი არა აქვთ. მადლობა უფალს, ისინიც არ გარეულან პოლიტიკის შავ-თეთრ პიარებში. ვერის უბნის 172-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის ეს პირველი ახალი წელია დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისა და თავიანთი ნიჭის გამოვლინებისა. ისინი აღმზრდელმა ქალბატონმა ციცო სახვაძემ დააფრთიანა.**

**ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი გაუთენოს მთელს საქართველოს, ყველა პატარას!**

**ავთანდილ ბექაური**

◎ მოდა

## მოკასინი, რომლითაც ჯონ კენედი თავს იწონებდა

**მაღალი მოდის იტალიელი დიზაინერი გუჩი გასული საუკუნის 30-იან წლებში საუკეთესო სასტუმროების შვეიცარად მუშაობდა. მან დიზაინერობა ტყავისგან მდიდრული აქსესუარების გაკეთებით დაიწყო, რამდენიმე წლის შემდეგ კი, საკუთარი მაღაზია-სალონი გახსნა. გუჩი 1953 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ტანსაცმლის კოლექცია არ შეუქმნია, სამაგიეროდ, მისი სამი ვაჟი, ბიზნესის გასაფართოებლად, სწორედ ტანსაცმლის კოლექციებზე მუშაობას შეუდგა. დღეისთვის კი გუჩის სამარკო ნიშანი ყველაზე პრესტიჟულად ითვლება.**

გუჩის სახლის ყველაზე პოპულარულ და ცნობილ აქსესუარად, დღემდე, ბამბუკისყურიან ჩანთას მიიჩნევენ, რომელიც ადრე ჟაკლინ კენედის, გრეის კელის და სხვა მოდური ქალბატონების განუყრელ ატრიბუტად ითვლებოდა. გუჩის მოკასინებით ჯონ კენედიც იწონებდა თავს. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხსაცმელი, დღეისთვის, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ექსპონატია. 80-იან წლებში გუჩის მეპატრონე ძმებს შორის გახმაურებულმა სკანდალმა ამსავაჭრო ნიშნის პოპულარობის დაცემა გამოიწვია. ახალმა დირექტორმა დონ მელოუნმა გუჩის სტილის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და მთავარი დიზაინერობა მაშინ უცნობ ტომ ფორდს მიანდო. სწორედ მან შემოიტანა მოდაში უნისექსის სტილი და შექმნა სპეციალური, ელეგანტური ტანსაცმელი მათთვის, ვინც ბევრს მოგზაურობს. გენიალური ტომ ფორდის წასვლის შემდეგ გუჩის სამოდელო სახლი ფაშინეტმა წარმოაჩინა. მისი მოდური ქალი, ფლორდისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ სექსუალურობის ეპიცენტრს. ელიტურმა ჟურნალ „Harper's Bazar“-მა ეს მოდელიერი გუჩის სახლის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად აღიარა. ფაშინეტს არ სურდა ბოლომდე შეეცვალა გუჩის ჰიპერსექსუალური და ზედმეტად თავდაჯერებული ქალის იმიჯი, მან სუსტი სქესის წარმომადგენლებს მხოლოდ მომხიბვლელი ქალურობა და რომანტიზმი შემატა.





გუჩის მოდის სახლის 2007-2008 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციები, ძირითადად, მუქ ტონალობაშია. როგორც ჩანს, მათ ჩვეული ფერადოვნება ამჯერად მობეზრდათ. შავი, ნაცრისფერი, მუქი იისფერი, ლურჯი – გუჩის დღევანდელი კოლექციების თანმდევი ფერებია. მოდის კრიტიკოსებმა გუჩის ბოლო კოლექციებს თანამედროვეობასმოკლებული კლასიკა უწოდეს.

**ლელა დონაძე**

◎ ხუმარსიტყვა

## ხინკალი... ვაუჩერით

**იქნებოდა ასე, დაახლოებით დღის ორი საათი, როცა ზემელზე, მელიქ კაზარიანცისად წოდებული სახლის სარდაფში ჩამავალ ციცაბო კიბეს ორი პენსიონერი ლასლასით ჩაუყვა.**

– აქვე დავსხდეთ, ფეხები აღარ მემორჩილება, – შესთავაზა ძმაკაცს წოწოლა, ხელის საპონივით გალეულმა ბერიკაცმა.

– როგორც შენ იტყვი გოგიჯან, – ხათრი არ გაუტეხა კისრამდე გამელოტებულმა, ჭუტალა პენსიონერმა.

ვერ ვიტყვი, რომ ხინკლის ოხშივარში გახვეულ, ლანგრით მორბენალ გოგოს ბერიკაცების დანახვა დიდად ესიამოვნა, მაგრამ მოვალეობა აკისრებდა და ისიც თავაზიანად მიეახლა:



– რას ინებებთ, ბატონებო?

– ჯერ ნაბეღლავს გეახლებით, შვილო, – ამოღერღა წოწოლამ, – პატარა შევიქაქანებთ და მერე ვნახოთ.

– ნაბეღლავი ჩვენთან უფასოა.

– მით უკეთესი, შვილო, – გაიხარა ჭუტალამ, – ჩვენც უფასოდ დავლევთ.

– თქვენ კი დალევთ, მაგრამ ჩვენ დავზარალდებით.

– მაშინ პირდაპირ ხინკალი მოგვიტანე.

– ხინკალიც უფასოა, ჩემო ბატონო.

– აბა რა ვქნათ?

– თქვენ თვითონ უნდა მოიტანოთ.

– საიდან? – დაინტერესდა ჭუტალა.

– ელდეპოდან, ყველაზე მაგარ ხინკალს იქ აკეთებენ.

– ჩვენ თუ ვიყიდეთ და მგზავრობის ხარჯიც დავუმატეთ, რაღა უფასო გამოვა? – გააპროტესტა წოწოლამ.

– თქვენს მიერ ნაყიდ ხინკალს ჩვენ უფასოდ მოგართმევთ, – განმარტა ოფიციანტმა.

– კი მაგრამ, უფასო სასადილოდ ვინ გადაგაკეთათ? – განაწყენდნენ პენსიონერები.

– მიშამ.

– რომელმა მიშამ?

– მიშა რომელია, არ იცით, სააკაშვილმა.

– მაგას ვინ ჰკითხავს, კაცო, – აღელდნენ ბერიკაცები, – პრეზიდენტობიდან ხომ გადადგა?

– გადადგა კი არა, განკარგულებებს კი იძლევა და... ამ ერთი საათის წინ აქ ამომრჩევლებს შეხვდა და დღეიდან ჩვენი სასადილო უფასოდ გამოაცხადა.

– უკვე წავიდა?

– არა, აგერ ზის ბატონო, დირექტორის კაბინეტში, ხინკალს მიირთმევს.

– ელდეპოდან მოიტანა?

– არა, ჩვენ გვერდით რომ „ხინკლის სახლია“, იქიდან გამოუგზავნეს.

ამასობაში ხინკლით გამაძღარი პრეზიდენტობის კანდიდატი უჭმელობით გალასლასებულ პენსიონერებს თავზე არ წამოადგა?

– ოო, ამათ ვის ვხედავ! – გაიბადრა პრეზიდენტყოფილი და მისთვის ჩვეული რიხით მოხუცებს გადაეხვია.

– თქვენი ჭირიმე, თქვენი, ეს ქვეყანა თქვენი აშენებულია და ამას ვაფასებთ კიდეც. აი ნახეთ, – მიუბრუნდა სასადილოს გამგეს, – შევარდნაძის დროს პენსიონერებს კუჭი შიმშილით უხმებოდათ, ახლა კი ხინკლის საჭმელად საკუთარი ხოდით დადიან. ამას ოთხი წლის წინათ ვინმე იფიქრებდა?

– ჰო, გაზრდილი პენსია ავიღეთ, თქვენი გამოგზავნილი ვაუჩერებიც მივიღეთ, იმდენი ფული გვაქვს, აღარ ვიცით, რაში დავხარჯოთ, აქ კი ხინკალზე უარი გვითხრეს, – შესჩივლეს პენსიონერებმა.

– რატომ, რა ხდება, ამის გაკეთება ვინ გაბედა? – განრისხდა პრეზიდენტობის კანდიდატი.

– თქვენი ნებით, რადგან უფასო გავხდით, ჩემო ბატონო, მხოლოდ უხორცო სუპი და წიწიბურას ფაფალა დავამზადეთ, – მოიბოდიშა დირექტორმა.

– არ არის პრობლემა, – იხტიბარი არ გაიტეხა კანდიდატმა, – 5 იანვრიდან განკარგულებას გავცემ, რომ უფასო სასადილოებში სუპებთან ერთად ხინკალი და ჩაქაფულიც მოამზადონ. მანამდე კი გიგის ვეტყვი, უგულავას, პენსიონერებს ხინკლის ვაუჩერებიც დაურიგოს.

– დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს პატივისცემას პენსიონერები ვერასოდეს დავივიწყებთ, – თქვა ჭუტალამ და თანამეინახეს მიუბრუნდა:

– ახლა წავიდეთ, გოგიჯან და ვაუჩერებს რომ ავიღებთ, ხინკლის საჭმელად მერე მოვიდეთ.

– ხმები არ დაგავიწყდეთ, ბიჭებო, ხმები! – შეაგულიანა ბერიკაცები პენსიონერებისაგან უკვე გაპრეზიდენტებულმა კანდიდატმა.

– არა, ბატონო, ვუფრთხილდებით და სახლში საიდუმლო ადგილზე ვინახავთ. რა ვიცით, კაცნი ვართ, გვეშინია სადმე შალიკო ან ბადრი არ გადაგვეყარონ და ჯიბიდან ამოგვაცალონ?!

**ოტია ჩართოლანი**

◎ საახალწლოდ

## თუკი ნაბახუსევში ხარ

**სხვა დროის რა მოგახსენოთ და საახალწლოდ ნამდვილად იქნებით ბახუსის ზეგავლენის ქვეშ. ცოტა თავიც გეტკინებათ, სხვანაირ დისკომფორტსაც იგრძნობთ. სწორედ ისეთს, „პახმელიაზე“ რომაა კაცი. – მაგისთვის ზედგამოწერილია ხაში და ერთი ჭიქა არაყი, – გეტყვის ქართველი კაცი.**

დიახ, აბა, რა სჯობს დილაადრიან დედას პურჩაბუჯბუჯებულ ხაშს ჭაჭის არყის დაყოლებით. მაგრამ ნაახალწლევს გექნებათ კი ქალაქში ხაშის ძებნის თავი?

ამიტომ ზოგიერთ სხვა „რეცეპტსაც“ შემოგთავაზებთ:

– თუ მსუბუქად შეზარხოშებული იყავით, მაშინ ადვილად ჩადგებით „მწყობრში“ ასეთი პრიმიტიული საშუალებით: ერთ კათხა ლუდში ჩააგდეთ უმი კვერცხი, ოღონდ არ გათქვიფოთ! ნახევარი საათის შემდეგ ცივი ბორში დააყოლეთ.

თუმცა არის ტრადიციული „წამალიც“ – თლილ ჭიქაში (200 გრძ ჩაასხით კიტრის მწნილის წვენი. დაამატეთ ერთი კბილი დანაყილი ნიორი და მწიკვი წიწაკა. შემდეგ ნელ-ნელა შესვით. კომბოსტოს მწნილის წვენიც გამოდგება.

ნასვამს ძილის შემდეგ პირველ საათებში რგებს მარილიანი პამიდვრის წვენიც – ერთ ჭიქა პამიდვრის წვენს უმატებენ ნახევარ ჩაის კოვზ მარილს და ნელა სვამენ.

შეიძლება ფინჯანი ცხელი ყავის დალევაც (თუ გული გაწუხებთ – მაშინ – ჩაის. ფინჯანში ჩააგდეთ ლიმონის ნაჭერი, ზომიერად დაშაქრეთ. შემდეგ კი ორიოდე კოვზი კონიაკი დაასხით. ცხლად მიირთვით. მწეველებს კი ვაფრთხილებთ: ამის შემდეგ 10-15 წუთს მაინც ნუ მოწევთ სიგარეტს. შეიძლება, შებრუნებული ეფექტი მიიღოთ. არადა გუნება-განწყობილება უკვე ამ ნაყენის დალევისას გამოგისწორდებათ.

ნაბახუსებს კარგად შველის ნივრიანი წვენიც (ვითომ ხაშია!ძ ფრანგულ ბატონსა და დიდი რაოდენობის წვრილად დაკეპილ ნიორს დაასხით მდუღარე წყალი და რამდენიმე წუთით გააჩერეთ.

ესთეტებისთვის კი ასეთ „რეცეპტს“ გთავაზობთ: 200 გრამი ნატურალური ფორთოხლის წვენი, ერთი ქერქიანი ლიმონი და 100 გრამი თაფლი მიქსერში ათქვიფეთ. დაამატეთ ერთი კვერცხის ცილა და მიღებული ნაყენი დილაადრიან დალიეთ.

კარგად დაგეხმარებათ კონტრასტული შხაპიც.

აბა, თქვენ იცით, ბედნიერი ახალი წელი კარგად დალოცეთ, ოღონდ ზომიერების გრძნობას ნუ დაკარგავთ!

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა იუწყება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სამმართველოს უფროსის**

**სოსო სურმავას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

⊙ ექსპრეს-ტელეფონები

# ხელსაწყოები

● სახანძრო სამსახური 01, 754229, 755397;
● საპატრულო სამსახური – 022;
● სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 033, 999208;
● გაზის საავარიო სამსახური – 04, 962715, 745904;
● სასწრაფო მომსახურება;
● ამინდის ბიურო 95 02 02;
● დაკარგული ნივთების ბიურო 98 81 39;
● სამისამართო ბიურო 34 60 00;
● დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 06; 99 06 06;
● ცენტრალური ავტოსადგური 72 34 33;
● რკინიგზის სადგურის ცნობარი 566253, 564760
● დიდუბის ავტოსადგური 34 72 39;
● ტაქსის გამოძახება 006, 929, 008;
● შსს მორიგე 99 95 24;
● ქალაქის მორიგე 98 54 74, 52 81 80;
● გაზი გამოძახებით 008;
● აეროპორტის ცნობათა ბიურო 43 32 21, 43 31 41;
● ვეტერინარული დიაგნოსტიკის ცენტრალური ლაბორატორია 53-09-67; 39-54-79;
● სახელმწიფო კანცელარიის ცხელი ხაზი 92 25 88; 92 26 84; 92 25 89; 92 26 85;
● უშიშროების სამინისტროს ცხელი ხაზი 95 36 53;
● საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 28 47 47;
● არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ 22 37 60;
● სახალხო დამცველი 92 24 79; 99 08 36; 92 24 70;
● ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი 92 39 60;



● შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 98 39 43; 99 53 50;
● ფინანსთა სამინისტრო 22 17 80; 22 09 24;
● ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 93 40 41;
● კომუნიკაციების ეროვნული კომისია 98 23 38;
● ბავშვთა უფლებების დაცვის კრიზისული დახმარების ცენტრი 99 66 04;
● მერიის და საკრებულოს ცხელი ხაზი 994, 93 38 38, 93 38 39;
● მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური 37 78 70;
● შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური 22 61 48; 22 33 53;
● მერიის მოქალაქეთა მისაღები 99 08 66;
● საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზი 99 74 10;
● ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 92 13 05;
● კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება 2 საათით, პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში 51 77 37;
● ჯანდაცვის სამინისტრო 94-49 ან 94 34 98;
● საქართველოს შსს სანებართვო განყოფილების ცხელი ხაზი 98 56 01;
● იუსტიციის სამინისტრო 75 82 21;
● „თბილგაზის“ ცხელი ხაზი 20 04 05, საინფორმაციო 37 04 00;
● ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ – 25 01 45; 22 54 17;
● თელასის ცხელი ხაზი 77 99 99, საინფორმაციო 25 52; 25 52 11;
● წყალკანალის საავარიო სამსახური 62 31 28;
● კანალიზაციის საავარიო სამსახური 74 38 68;
● საქსტანდარტი 60 36 10;
● საქალაქთაშორისო კოდების ბიურო 95 07 01;
● შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 94 33 11;
● რესპუბლიკური საპატრულო პოლიცია 80 02;
● შსს-ს საინფორმაციო ცენტრი 99 93 55;
● საბაჟო დეპარტამენტის ცხელი ხაზი 76 82 22;
● გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 53 06 32;
● მერიის „თბილლიფტი“ 95 43 71;
● ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი 99 04 02.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 4 იანვარს.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.